



1986 ГОДА КНИГИ

ЛУЧШИЕ КНИГИ 1986 ГОДА

1986

ပုဂ္ဂနိုင် ပုဂ္ဂနိုင်လွှာ

လျော့ပြောရေး ဇာတ်ချောင်းပုဂ္ဂနိုင်လွှာ

စာမျက်နှာ ၁၂၁

31-32

တရာ့လွှာ

1986

აპტორისაგან

„დემოგრაფიულ ნარკვევებში“ გაშექებულია ხალხთმოსახლეობის ზოგიერთი ისეთი აქტუალური პრობლემა, რომელთა შესახებ ჩემს მიერ აქამდე გამოქვეყნებულ ნაშრომებში ან სრულებით არა, — ანდა მათ-ლოდ გავვრით თუ მქონია მსჯელობა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ როგორც საერთოდ თანამედროვე ცი-ვილიზებული კაცობრიობა, ისე კერძოდ ქართველი მკითხველი საზოგა-დოებრივობა დიდადაა დაინტერესებული უახლესი დემოგრაფიული სი-ტუაციით.

ჩვენს საღირექტივო ორგანოებს კიდევ აუცილებელ საჭიროებად მი-აჩნიათ, და სამართლიანადაც, რომ მოსახლეობის ფართო მასებს ჰქონ-დეთ შესაძლებლობა, გაეცნონ სრულ და ავთენტიკურ ინფორმაციას მიმ-დინარე დემოგრაფიული პროცესების მიზეზებისა და მოსალოდნელი შე-დეგების თაობაზე.

ამასთანავე ზემოხსენებულ ნაშრომთა შესახებ მკითხველთაგან მიღე-ბული წერილებისა და შეკითხვების ნაწილი მაინც ისეთია, რომ აუცი-ლებელ მოვალეობად მიმაჩნია, გაესცე მათ ქეროვანი პასუხი. წინამდება-რე „დემოგრაფიულ ნარკვევებში“ მოცემულია ცდა — შეძლებისაშებრ გავაშუქო ზოგიერთი ასეთი საკითხი.

რიგ სხვ. პრობლემებშიც კი შესაბამის მასალას მკითხველი შეიძლება გაეცნოს ახლახან გამოცემულ ჩემს ნაშრომში — „მოსახლეობა. ოჯახი. შვილიანობა“, თბ., „მეცნიერება“, 1985.

პატა გუგუშვილი

24. IV. 86.

© საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“, 1986 წ.

უ ე ს ა მ ა ლ ი

მიმღებინარმ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პი-
რობებში თანამედროვე კაცობრიობა ცივილიზაციის განვი-
თარების ისეთ დონეზე იმყოფება, რომ ქვეყნებს შორის კულ-
ტურული და ეკონომიკური კავშირები, შრომის საერთაშო-
რისო დანაწილება, სულიერ თუ მატერიალურ დოკუმენტთა
ურთიერთშორის გაცვლის თანმიმდევრული და არსებითად
შეუჩერებელი გაფართოება იწვევს და სულ უფრო მეტი ზო-
მით აჩქარებს მთელი საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ყო-
ფიერების ინტერნაციონალიზაციას.

ასე რომ დღეს პრაქტიკულად თითქმის ყოველი რამდე-
ნადმე ორგანიზებული სახელმწიფო (ხალხი, ეროვნება) ამა-
თუ იმ ზომით ჩართულია მსოფლიო მეურნეობის ორბიტაში
და განიცდას მის დონიადაგ განვითარებადი წარმოების, გა-
ნაწილების, გაცვლის, მოხმარების პროცესში მიმდინარე
ცვლილებებს.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი ჯერ კიდევ 140 წლის წინათ
წერდნენ, რომ მსხვილმა მრეწველობამ პირველად — შექმნა
მსოფლიო ისტორია, რამდენადაც

„ყოველი ცივილიზებული ქვეყნისა და მასში ყოველი ინდი-
ვიდის მოთხოვნილებათა დაქმაყოფილება გახადა დამოკიდებული
მთელი მსოფლიოსაგან და რამდენადმე მოსპო ცალკეული ქვეყ-
ნების წინანდელი ბუნებრივად ჩამოყალიბებული განკურძოებუ-
ლობა“!

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე არსებითად უკვე დამთავ-
რებული იყო მსოფლიო კაპიტალისტური ბაზრის მსოფლიო
კაპიტალისტურ მეურნეობად ჩამოყალიბების პროცესი, რაც
საფუძველს აძლევდა ვ. ი. ლენინს, თავისი თხზულების —

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. 3, с. 60—61.

„იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიანი — ახალ 1921 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში უურადლება გაემახვილებინა იმაზე, თუ როგორი იყო „შეჯამებითი სურათი მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობისა“¹.

კიდევ მეტი. მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა ურთიერთშერწყმის, წარმოების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულბის ახალ და უფრო სრულქმნილ საშუალებათა გაფართოების, შრომის საერთაშორისო დანაწილების, კულტურულ-ეკონომიკური კავშირების ინტენსიფიკაციამ იქამდე მიაღწია, რომ, როგორც ვ. ი. ლენინი წერდა:

„ეაცობრიობის მთელი მეურნეობრივი, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრება ნულ უფრო ინტერნაციონალური ხდება უკვე კაპიტალიზმის დროს. სოციალიზმი მთლიანად ინტერნაციონალურსა ხდის მას“².

და მართლაც, როგორც ეს ოღნიშნულია „საზალწო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ლონისძიებათა შესახებ“ სკეპ ცკ-ისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთობლივ დადგენილებაში — „მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება შეიქნა ერთ-ერთი მთავარი მიმართულება სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემათა შორის შეჯიბრებაში“³.

მსოფლიო მეურნეობის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია საერთაშორისო ვაჭრობა. ხოლო ბაზარში გატანილი საქონელი სოციალურად სავსებით ინდიფერენტული ფენომენია; სულ ერთია, თუ რა სოციალურ პირობებშია იგი შექმნილი და ვინ იყიდის მას, — იქნება იგი გლეხი თუ მუშა, კაპიტალისტი თუ პროლეტარი, ქრისტიანი თუ მუსლიმანი, თეთრკანიანი თუ ზანგი⁴.

დღესაც საერთაშორისო ბაზარზე იცვლება სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში წარმოებული საქონელი და იგი, ვითარცა საქონელი გამოდის როგორც გარკვეული

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 233.

2 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 285.

3 «Правда», 1983, 8.28.

4 იხ. ქ. მარქსი, კაპიტალი, 1959, ტ. III, ნაწ. I, გვ. 410 და შემდ.

სახმარი ლირებულების და ინტერნაციონალური ლირებულების მატარებელი და ეს სავსებით საქმარისია მაჩტივი საქონლური და ფულადი მიმოქცევისათვის, რაც გამოხატავს ლირებულებრივ ურთიერთობებს.

მართებულად ოღნიშნავენ პროფ. ნ. შმელიოვი და პროფ. ი. შიშკინი, რომ თანამედროვე მსოფლიო მეურნეობაში თავისი სოციალური ბუნებით სხვადასხვაგვარი მწარმოებლები ერთგვარნი არიან ერთ რამეში: ყველა ისინი საქონელმწარმოებლებია, ყველა მათგანი მფლობელია საქონლისა, რომელიც მსოფლიო ბაზარზე ექცებს საზოგადოებრივ, მსოფლიო აღიარებას. მსოფლიო ბაზარი თავისებური გლობალური კავშირის ფორმაა, რაც პრაქტიკულად დებულობს საერთაშორისო რეზონანსს და ამა თუ იმ ზომით ავრცელებს თავის გავლენას¹. აქ უნდა გავიხსენოთ ვ. ი. ლენინის სიტყვები, რომ:

„არის უფრო მეტი ძალა, ვნებ სურვილი, ნებისყოფა და გადაწყვეტილება რომელიც გინდ მტრული მთავრობებისა და კლასებისა, ეს ძალაა — ხერთო ეკონომიკური მსოფლიო ურთიერთობანი“² (ხაზგასმა ჩვენია — 3. გ.).

თანამედროვე ცივილიზაცია, მსოფლიო მეურნეობა, კომუნიკაციების საშუალებანი ბუნებრივად იწვევენ ქვეყნებს შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის აუცილებლობას. კერძოდ ორ კონფრონტაციულ სისტემას შორის მშვიდობიანი ეკონომიკური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის საგარეო ეკონომიკური სტრატეგიის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს.

შრომის საერთაშორისო დანაწილების გალრმავების, მეურნეობრივი ცხოვრების შეუნელებელი ინტერნაციონალიზაციის, მსოფლიო ვაჭრობის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და ფინანსებისა და კრედიტის ურთიერთობათა სწრაფი გაფართოების პარალელურად XX საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებული ინტენსივობით წარმოჩნდა ისეთი გლობალური პრობლემები, როგორიცაა ეკოლოგიური, ენერგიანედლეულის, სურსათისა და ა. შ., რომელთა წარმატებით გა-

¹ МЕМО, 1984, № 8.

² В. И. Ленин, ПСС, т. 44, стр. 304—305.

დასაქრელად აუცილებელია კაცობრიობის ღონისძიებათა განვითარება
ერთიანება პლანეტარული მასშტაბით.

ამასთანავე მიმდინარე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუ-
ცია სრულებითაც არ ჰგავს ისეთ მოვლენას, რომელიც მსგა-
ვსად ყოველი სხვა რევოლუციისა, ერთხელ იფეთქებს და
მერმე დამთავრდება. არა. ეს არის ხანგრძლივი პროცესი და
იგი მოასწავებს მთელი ცივილიზაციის ტექნოლოგიური სა-
ფუძვლების დაუსრულებელსა და შეუნელებელ აღმავლო-
ბას...

ზემოხსენებულ მოვლენათაგან იზოლირებულად დღეს
არც ერთ ქეეყანას არ შეუძლია არსებობა... საბოლოოდ ამი-
ტომაცამ რომ სხვადასხვა პოლიტიკურ-ეკონომიკური სის-
ტემის, ეროვნების, რასის, რელიგიისა და კულტურის ხალ-
ხთა შორის ხშირად დემოგრაფიული პროცესების (ქორწინე-
ბის, ოჯახის სტრუქტურის, შვილიანობის, მოსახლეობის აღ-
წარმოების ტემპებისა და სხვათა) ისეთი მსგავსებები აღინიშ-
ნება, რომ, ერთი შეხედვით, გაკვირვებას იწვევს, მეტადრე
მარტივად მოაზროვნე ადამიანთა შორის. არის კიდევ „დე-
მოგრაფიული ერთგვაროვნობის“ გამომწვევი სხვა ფაქტო-
რებიც, რომელთაც ქვემოდ, თავის აღვილას, შეეხებით.

ყოველივე ზემოოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონი-
ლად მიგვაჩნია, რომ, კერძოდ, საბჭოთა საქართველოში არ-
სებული დემოგრაფიული სიტუაციისა და მთლიანად მოსახ-
ლეობის აღწარმოების პრობლემები, უწინარეს ყოვლისა,
საბჭოთა კავშირისა და, საერთოდ, მსოფლიო ცივილიზაცი-
ის შესაბამის მოვლენათა, ე. ი. საერთაშორისო დემოგრა-
ფიულ პროცესთა საერთო ფონზე განვიხილოთ.

XX საუკუნის უკანასკნელ მესამედში, რაც დრო მიღის,
მთელ მსოფლიოში სულ უფრო ძლიერდება ყურადღება მო-
სახლეობის აღწარმოების დინამიკის, გამრავლება-განვითარე-
ბისა და საერთოდ, დემოგრაფიის პრობლემებისაღმი!

1 ამჟამად (უკეთ რომ ვთქვათ, უკანასკნელ 15 წელიწადში) პლანე-
ტის მოსახლეობა (4,7 მლრდ.) ყოველწლიურად 1,8 პროცენტით იზრდე-
ბა, რაც უდრის დაახლოებით 80 მილიონს. საკიბობოროტო საკითხია: შე-
6

ამასთან დაკავშირებით, გასაგებია, რომ კიდევ უფრო და ამოკიდებულება დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების თეორიული და პრატიკული საკითხებისადმი და, მაშასადამე, ამ სფეროში მოღვაწე ადამიანთა კადრების კვალიფიციურობისადმიც.

ამავე დროს, რაღა დასამალია, რომ საბჭოთა კავშირში, დემოგრაფიული სიტუაციის გააქტიურების შესაბამისად, ამ პრობლემათა მეცნიერულ კვლევა-ძიებაში ჩაბმისათვის საჭირო მაღალკვალიფიციური კადრების დიდი ნაკლებობა იგრძნობა.

ასეთმა ვითარებამ მართებულად განაპირობა ის ფაქტი, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის სალხითმოსახლეობის პრობლემათა შემსწავლელი ცენტრის ბაზაზე შეიქმნა სპეციალური განყოფილება — ფართო პროფილის დემოგრაფთა მომზადება-გადამზადებისათვის.

საძლებელია თუ არა ასეთივე ტემპით გაიზარდოს სურსათის წარმოებაც?

ეკოლოგიური (ბუნებრივი) ფაქტორები სულ უფრო წინა პლანზე გამოდის დემოგრაფიულ პროგნოზებში. დღეს უკვე ბევრი წინასწარმეტყველებს XXI საუკუნეში ბუნებრივი რესურსების შესაძლებელი გამოფიტვისა და გარემობუნების გაჭურვიანების თაობაზე. თუმცა არის ოპტიმისტური პროგნოზებიც... მაგრამ მაინც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სურსათის არასაქმარისობისა და, მაშასადამე, ზოგიერთ რეგიონში ყოველწლიურად მილიონობით ადამიანთა შიმშილისაგან დაღუპვის შესაძლებლობა.

პროფ. ი. სმირნოვს მოჰყავს ცხრილი, რომლის მიხედვითაც განვითარებად ქვეყნებში, 1960—1970-იან წლებში, მთელი მოსახლეობის 16-29%-ის კვების დონე კრიტიკულზე უფრო დაბალი იყო.

И. Смирнов, Проблемы взаимосвязи демографических и экологических процессов: ДРС, стр. 149—151; იხილე აგრეთვე Н. Розов..., Оценка мировых земельных ресурсов...: «Достижения и перспектива» 1978, № 2; Л. Княжинская, Рост населения и продовольственная проблема..., М., 1980; М. Шиман, К третьему тысячелетию, 1977, М.



მართალია, უკვე ამჟამად, როგორც უურნ. „ვოპროსი უკონკრიტული ნომიკის“—ს 1985 წლის მე-10 ნომერში ვკითხულობთ, საკოველთაოდ აღიარებულია დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განუყრელი ურთიერთებავშირის კონცეფცია, მაგრამ მაინც ფაქტია, რომ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შედგენისას, ჯეროვანი ყურადღება ვერ ექცევა ანდა ნაკლებად ექცევა (და, მაშასადამე, სათანადო სილრმით არ შეისწავლება და არც ითვალისწინებენ) მიმდინარე დემოგრაფიულ ცვლილებებს, განსაკუთრებით ადგილობრივ (რეგიონულ) ასპექტებში.

სსრ კავშირის სოციალურ-ეკონომიკური გეგმიანობის, სახალხო მეურნეობის პრაქტიკული მართვის ჯეროვან და შესაფერის დონეზე წარმართვის აუცილებლობამ გამოიწვია ის, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეიქმნა ხალხთმოსახლეობის კომისიები, ხოლო საგეგმო კომისიებში — სპეციალური განყოფილებები, რომლებმაც, — როგორც ეს მითითებულია, სათანადო დადგენილებაში, — უნდა უზრუნველყონ გეგმიანობაში დემოგრაფიული ფაქტორების აღრიცხვა-გათვალისწინება.

მაგრამ ამისათვის აუცილებელია, რომ გეგმიანობის ხსენებულ ორგანოთა შესაბამისი განყოფილების მუშაკებს პქნდეთ დემოგრაფიული ცოდნა-გამოცდილება, რათა შეეძლოთ „პრაქტიკული დემოგრაფიული პრობლემების კვალიფიციური გადაჭრა“ (იქვე. გვ. 157).

აქვე მოყვანილია გარკვეული მოსახრებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს შესაბამისი კადრების კვალიფიკაციის ამაღლება, აღრე მიღებული ცოდნის განახლება, და ისეთი სპეციალობის კადრების მომზადება, რომლებიც ჯერ კიდევ სრულებით არ მზადდებიან ანდა არასაკმაო ცოდნით მზადდებიან სასწავლებლებში და ა. შ.

აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მოსკოვის უნივერსიტეტში ხსენებულმა სპეციალურმა განყოფილებამ უკვე 1985 წელს გამოუშვა დემოგრაფთა კადრების პირველი გადამზადებულ სპეციალისტთა ჯგუფი, რომელთაც ვრცელი პროგრამებით



მოისმინეს ხალხთმოსახლეობის ისეთი კურსები, როგორიცაა „დემოგრაფიული პოლიტიკა“, „მსოფლიოს ხალხთმოსახლეობა“, აგრეთვე სპეცუალისტი საერთოდ დემოგრაფიის პრობლემებზე.

ამასთანავე, გარდა პრობლემათა თეორიული შესწავლისა, მათ გაიარეს სოლიდური პრაქტიკაც ქ. მოსკოვის საწარმოებსა და დაწესებულებებში, შეხვდნენ და დემოგრაფიის აქტუალურ პრობლემებზე ესაუბრნენ უწყებებისა და სამინისტროების ხელმძღვანელების.

ამგვარად, როგორც უურნ. „ეკოპროსი ეკონომიკის“ რედაქციის თანამშრომელი ნ. საზონოვი ალნიშნავს, მოსკოვის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის სპეცგანუოფილების მიერ დემოგრაფიული კადრების გადამზადების პირველმა ექსპერიმენტულმა ცდამ წარმატებით ჩაიარა. ამასთანავე, ამავე ცდამ უფრო ნათელი გახდა დემოგრაფიული კადრების კვალიფიკაციის დარგში არსებული ნაკლოვანებები.

ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მძიმეა მდგომარეობა ჩვენს რესპუბლიკაში. დემოგრაფიის საკითხებმა, ბუნებრივია, საქართველოშიაც მიიქცია დიდი ყურადღება... უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა რიგი საგაზეთო და საურნალო სტატია და დაიბეჭდა რამდენიმე წიგნიც. ამ საკითხს ჯეროვნად გამოეხმაურნენ აგრეთვე რადიომაუწყებლობა და სხვა ორგანიზაციები. მაგრამ გულაბლილად უნდა ითქვას, რომ გამოქვეყნებული მასალის ერთი ნაწილი, მეტი რომ არ ვთქვათ, შესრულებულია დაბალ დონეზე, ხოლო ზოგიერთი მათგანი, პირდაპირ უნდა ითქვას, უწიგნურადაა დაწერილი და შეიცავს უხეშ შეცდომებს. უფრო სამწუხარო კიდევ ის გახლავთ, რომ ასეთ პუბლიკაციებს ადვილად შეუძლიათ, გამოიწვიონ მოსახლეობის დეზორინინტაცია... მაგრამ აქ უადგილობის გამო, მათს განხილვას არ შევუძები....

ამასთანავე უალრესად საჭიროა და ეს გათვალისწინებულია სადირექტივო ორგანოების მითითებებში, რომ აუცილებელია მოსახლეობის ფართო მასებს მივაწოდოთ რაც შეიძლება ვრცელი და მართალი ცნობები — როგორც ისტო-

რიული წარსულის, ისე თანამედროვე ჰეშმარიტად დემოგრაფიული სიტუაციის თაობაზე!...

გასაგებია, აქაც თავი იჩინა სათანადო კვალიფიციური კადრების ნაკლებობამ... და დილეტანტიზმა. როგორც აღ-ჩე, მაგალითად, სოციოლოგიის, ისე ამჯერად დემოგრაფიის საკითხთა — როგორც საზოგადოებრივი ინტერესის პრობლე-მათა, — კვლევა-ძიებას მიეძალნენ ისეთი ადამიანებიც, რომელთაც არ აქვთ არათუ სპეციალური განათლება, არა-მედ, საერთოდ, უმაღლესი ჰუმანიტარული განათლებაც. მა-გალითად; ბოტანიკოსები, ქიმიკოსები, ტექნიკოსები, საქო-ნელმცოდნები, რომელთაც თავიანთ სპეციალობაში (რომ-ლის შესწავლასაც 4-5 წელიწადი მოანდომეს) ვერ შეძლეს მიეღწიათ რაიმე შესამჩნევი შედეგებისათვის და ახლა სო-ციოლოგიასა და დემოგრაფიაში (რაც საერთოდ არ უსწავ-ლიათ) მასობრივად მოგვევლინენ, როგორც... სპეციალისტე-ბი² და შედეგებიც, ცხადია, შესაბამისი მივიღეთ...

და ეს მაშინ, როდესაც, მაგალითად, დემოგრაფიული მეც-ნიერების მიერ მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები, ვთქვათ, მოსახლეობის აღწარმოებისა და დინამიკის სხვადას-ხვა საკითხზე უნდა წარმოადგენდეს კვალიფიციური სპეცია-

1 1981—1985 წლებში სსრკ-მა სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ ქ. მოსკოვისა და ზოგიერთ სხვა რეგიონში ჩატარებულმა გმირებულებამ ნათელყო, რომ გამოყითხული მოსახლეობის მხოლოდ 25%-ს ჰქონდა ერთგვარი წარმოდგენა ჩვენს ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული სი-ტუაციის შესახებ. მოქალაქეთა დიდ უმრავლესობას კი არ აქვს ჯერო-ვანი ინფორმაცია, რომ სათანადოდ გაიაზროს არსებული ვითარება და გამოიჩინოს შესაბამისი მზრდებულობა ამ მიმართულებით. არც იმის შე-სახებ არიან ჯეროვნად ინფორმირებული, თუ რამდენი შეიძლი უნდა ჰყავდეს ოჯახს მოსახლეობის გარტივი აღწარმოებისათვის, ე. ი. თაო-ბათა არსებული რიცხოვნობის შენარჩუნებისათვის და რა დემოგრაფიუ-ლ პოლიტიკას ახორციელებს ჩვენი სახელმწიფო შეილებიანი ოჯახების, ახალდაქორწინებულთა და სხვ. დახმარებისა და წაქეზებისათვის, — და საერთოდ ოჯახის, როგორც პიროვნების სოციალიზაციის ერთ-ერთი უმ-ნიშვნელოვანების პირობის, განმტკიცებისათვის.

2 ცხადია, გამონაკლისები აქაც შეიძლება იყოს, მაგრამ როგორც მასობრივი მოვლენა, ასეთი რამ, ვითარცა დილეტანტიზმი, დასაგმობია.

ლისტის მიერ არსებული ვითარების საფუძვლიანი შესწავლის შედეგად მოპოვებული მონაცემების ნამდვილად მეცნიერული ანალიზის გზით მიღებულ ინფორმაციას და არა ისეთ ფარლალალა რამეებს, როგორსაც ჩვეულებრივ ცხვრის ფარის რიცხოვნობის შესახებ მსჯელობის დროსაც ერიდებიან.

დამოგრაფია

ციტაცია დემოგრაფია აღრე იხმარებოდა მოსახლეობის სტატისტიკის გნიშვნელობით. სტატისტიკა ამჟამადაც წარმოადგენს დემოგრაფიის ერთ-ერთ ძირითად მეთოდს, მაგრამ დღეს დემოგრაფია, როგორც და-მოუკიდებელი მეცნიერება, სწავლობს ხალხთმოსახლეობის მოძრაობისა და განვითარების (შობალობის, მოკვდაობის, ქორწინების, ოჯახის, მიგრაციის, უბანიზაციის, სქესობრივ-ასაკობრივი და პროფესიული სტრუქტურის, რიცხობრივი ცვლილებების) და, საერთოდ, მოსახლეობის აღწარმოების ინტენსივობის კანონზომიერებათა პრობლემებს.

დემოგრაფია აყალიბებს მოსახლეობის აღწერის, სტრუქტურის, და-ნამიერისა და პროგნოზის შესწავლის მეთოდებს; — იყვლევს მოსახლეობის განვითარების ტენდენციების, სიტუაციათა პროცესებს, როგორც მთელ მსოფლიოში ანდა ამა თუ იმ ქვეყანაში, ასევე მის ცალკე რაოთ-ნებში.

1 ამ ასპექტში აღსანიშნავია, რომ, მაგალითად, შობალობის ტემპის შეზღუდვის თუ მისი ამაღლებისათვის გამიზნეული დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება მოითხოვს რეპროდუციული ქცევის ღრმა სოციო-ლოგიურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ შესწავლას. პრობლემის ჯერთვანი შეუსწავლელობითაც იისსნება ის მოულოდნელი შედეგები, რაც ამ ღონისძიებათა გატარებას შობყვა.

1978 წელს პარიზში შემდგარ დემოგრაფიულ კოლოების შემთხვევაში პროფ. პიერ შონიუ თავის მოსხენებაში აფასებდა რა თუ წლის მანძილზე განვითარებად ქვეყნებში შობალობის შეზღუდვისათვის ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებათა გამოგონებისა და გამოყენების შედეგებს, შენიშვნაება: „...მოხდა სწორედ იმის საწინააღმდეგო, რაც იყო მოსალოდნელი. მათ შესამჩნევი გავლენა ვერ მოახდინს „მესამე საშეაროზე“, მაგრამ გამოიწვიოს კატასტროფული შედეგები იმ ქვეყანაში, რომელმაც შექმნა ეს საშუალებები... „ჩვენ როგორიაც გადავაფურითხეთ ქარის საწინააღმდეგო“ (В. Загладин, И. Фролов, Глобальные проблемы современности, 1984, М., стр. 99—100; ДРС, стр. 132; И. Фролов, Перспективы человека..., 1983, М.).

დიდია დემოგრაფიის თეორიული (მეცნიერული) და პრაქტიკული მნიშვნელობა. საქმე ისაა, რომ „მისი შესწავლის ობიექტი — მოსახლეობა — მთელი საზოგადოებრივი წარმოების პროცესის საფუძველისა და სუბიექტისაც წარმოადგენს“. ამიტომაც დემოგრაფია გვევლინება, როგორც საზოგადოებათ ცოდნეობის შესახებ მთელი მეცნიერული ცოდნის (სისტემის) მნიშვნელოვანი ნაწილი.

დემოგრაფიული პროცესები შედგება ისეთი მოვლენებისაგან, რომ გორიცაა ქორწინება, შობაღობა, განქორწინება, დაქვრიცება, მოკლეობა, მოსახლეობის ბუნებრივი გამრავლება, მიგრაცია, ურბანიზაცია, ოჯახის გაყოფა, განათლება, მუდამ განახლებადი მოსახლეობის სქესობრივი ასაკობრივი სტრუქტურა...“

საერთოდ, აქ, ცხადია, აისახება აღამიანთა საზოგადოების ცხოველ-მყოფელობის როგორც ბიოლოგიური, ისე სოციალური უენომენის ურთიერთზემოქმედების მრავალი ასპექტი .

მოსახლეობის აღწარმოება უშუალო კავშირშია მწარმოებლური ბალების, საზოგადოებრივი ურთიერთობების, კულტურის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილებებთან. სწორედ ამიტომაც დემოგრაფია მოსახლეობის დინამიკის პრობლემებს. სწავლობს, როგორც საზოგადოების განვითარების ბუნებრივ-ისტორიული პროცესის შემაღენელ ნაწილს.

პირველად ფაქტობრივ მასალას დემოგრაფიული პროცესების შესხებ მეცნიერება ლებულობს მოსახლეობის აღწერებისა და დემოგრაფიულ პროცესთა — შობაღობის, მოკვდაობის, ქორწინების, განქორწინებისა და სხვათა მიმდინარე ჩრეგისტრაციის, აგრეთვე ლიტერატურული, ეთნო-დემოგრაფიული მასალების, სოციოლოგიური და ა. შ. დაცვირვებების მონაცემთა სახით. ამ მასალათა მოპოვებისა და შესწავლისას დემოგრაფია სარგებლობს სტატისტიკისა და სოციომეტრიის მეთოდით.

კერძოდ, მოსახლეობის აღწერა იძლევა ინფორმაციას მოსახლეობის სოციალური, ნაციონალური, ასაკობრივ-სქესობრივი და ოჯახური მდგრამარეობის, პროფესიული დასაქმებულობისა და სხვ. შესახებ. სპეციალური შერჩევითი კელევა-ძიება მეტწილად მიზნად ისახავს ცალკეული დემოგრაფიული მომენტების შესწავლას. მაგალითად, შეილთა შებიძებრზე ქალების დამოკიდებულების, ოჯახში შეილთა რაოდენობის, ოჯახის ოპტიმალური სიდიდის, საქორწინო ასაკის, პროფესიის შერჩევისა და სხვათა შესახებ აღამიანთა შეხედულებებს (ვარაუდებს), ანუ კიდევ წარსული (ისტორიული) დემოგრაფიული სიტუაციის შესწავლას.

საერთოდ ისტორიული დემოგრაფია იყვლევს წარსული დროის მოსახლეობის აღწარმოების საკითხებს და ამ მხრივ ხელს უწყობს დემოგრაფიულ კანონზომიერებათა დადგენისა და თეორიულ განზოგადებას. ამასთანავე, ისტორიული ასპექტების შესწავლა აუცილებელია თვით

დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების, დამკვიდრების, მისი საგნის ხასიათისა და სოციალური მნიშვნელობის ნათელსაყოფად.

თანამედროვე დემოგრაფიაში ფართოდ გამოიყენება მათემატიკური ანალიზის მეთოდები, — კერძოდ „დიფერენციული და ინტეგრალური ალიტებისა, როდესაც რიცხობრივი ერთობლიობა და ღრმოვნობა აროგორც უწყვეტი ცვალებადობა.

დემოგრაფიული პროგნოზის მეთოდის გამოყენება აუცილებელია გეგმიანობისა და გართვის საჭიროებისათვის, რამდენადც ის შესაძლებლობას იძლევა გავითვალისწინოთ მომავალში მოსახლეობის რიცხონობისა და სტრუქტურის (მაგალითად შრომითი რესურსების) მოსალოდნელი ცვლილებები².

სოციალისტურ საზოგადოებაში, სოციალურ-ეკონომიკური გეგმიანობის პირობებში, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების მართებული მეცნიერული მშართველობისათვის აუცილებელია მოსახლეობის ორწარმოების კანონზომიერების, აღამინთა პოპულაციის, თაობათა ცელაში თვეთვანისა და რიცხობრივი გამრავლების პროცესების, მათი წარმმართველი ფაქტორების, უკანასკნელთა შესაძლებელი ცვალებადობის, საერთოდ, მთელი მოსახლეობის ნიერიერ და სულიერ მოთხოვნილებათა განვითარების და კერძოდ შრომითი რესურსების ორწარმოების მეცნიერული პროგნოზირება,

დემოგრაფია სწავლობს კაცობრიობის სხვადასხვა ეპოქის მოსახლეობის ორწარმოების დამახასიათებელ ტიპებს და მათი ეკოლოგიის შესაბამისი ქონისწინებისა და ოჯახის სხვადასხვა ფორმებს, „ბავშვთა წარმოების ურთიერთობებს“ (ვ. ლენინი).

მაგრამ დემოგრაფია იყვლევს თვისებათა ცელილებებს არა ცალკეულ ადამიანთა ინდივიდუალური, არამედ ტერიტორიული, ეთნოლოგიური, რელიგიური, ნაციონალური თუ სხვ. მიხედვით გარკვეული ერთვაროვანი ნიშნების მატარებელ ადამიანთა შეტ-ნაკლებად დიდ წარუებს.

საერთოდ, მოსახლეობის ორწარმოების ზოგადი პროცესის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ფრ. ენგელსის განმარტება, რომ:

1 არსებობს ე. წ. ფორმალური (წმინდა) დემოგრაფია, რასაც ზოგჯერ მოსახლეობის მათემატიკურ თეორიას, ანდა თეორიულ დემოგრაფიას და დემოდეტრიასაც უწოდებენ. წმინდა დემოგრაფია უმთავრესად სწავლობს მოსახლეობის რაოდენობრივ გამრავლებასა და სტრუქტურას და არ ეხება მის განვითარებაში სოციალურ-ეკონომიკურ და სხვა ფაქტორთა როლსა და მნიშვნელობას, არც მოსახლეობის დინამიკის კანონზომიერებათა საკითხებს.

2 А. Романов, А. Терехов, Математические модели процессов мобильности (Обзор). — «Экономика и математ. методы», 1980, т. 16, № 2, стр. 272—291; О. Староверов, В. Орлов, Моделирование движения трудовых ресурсов, 1975, М.; О. Староверов, Модели движения населения, «Наука», 1979, М.

„...ისტორიაში საბოლოო ანგარიშით განმსაზღვრელი მომენტია უკავშირდების ლო ცხოვრების წარმოება და აღწარმოება. მაგრამ თვით იგიც კადა თრგვარი ხასიათისაა. ერთი მხრივ, ცხოვრების საშეალებათა, კვების საგნების, ტანსაცმლის, ბინის და ამისათვის აუცილებელი იარაღების წარმოება. მეორე მხრივ, წარმოება თვით ადამიანისა, მოდგმის (კვარაც) გაგრძელება. საზოგადოებრივი წყობილება, რომელშიც განსაზღვრული ისტორიული ეპოქის და განსაზღვრული ქვეყნის აღამიანები ცხოვრიბენ, განპირობებულია ორივე სახეობის წარმოებით: ერთი მხრივ — შრომის, მეორე მხრივ — ოჯახის განვითარების საფუძველებით”.

მოსახლეობის აღწარმოების ტენდენციისათვის

მოსახლეობის აღწარმოების პრიბლემა კარგა ხანია, რაც არათუ მეცნიერების, არამედ ამასთანავე, თანამედროვე საზოგადოებრივი, სახელმწიფო ფორმებრივი და საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრების უაღრესად აქტუალური და თანაც გლობალური საკითხი გახდა, რამდენადაც მოსახლეობის ჯერ ბუნებრივი მატების მაღალი ტემპი, რაც XX საუკუნის შუადან დაიწყო, ხოლო შემდეგ 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან, მისი შემცირების ტენდენცია, მეტნაკლები ზომით, მთელ მსოფლიოში შესამჩნევი შეიქმნა.

არაა სწორი შეხედულება, თითქოს მოსახლეობის ბუნებრივი გამრავლების საკითხისადმი დასაშეები იყოს თუნდაც რამდენადმე ინდიფერენტული დამოკიდებულება. მოსახლეობის გამრავლება, კერძოდ შობადობა დამოკიდებულია მრავალ ისეთ ბიოლოგიურ და სოციალურ ფაქტორზე, რომელთა უდიდესი ნაწილი, ცივილიზაციის განვითარების პროცესი განიცდის მუდმივ ცვალებადობას და ამდენადვე არ შეიძლება, ამა თუ იმ სახით, გავლენას აჩ ახდენდეს ქალთა, როგორც ფერტილობაზე (რეპროდუქციულობაზე, ნაყოფიერებაზე), ისე, კერძოდ, შობადობასა და ოჯახის ფორმირებაზე საერთოდ².

¹ ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფო წარმოშობა, თბ., 1953, გვ. 4.

² Рождаемость и ее факторы (Сб. ст., перевод, 1968, М.), Факторы рождаемости. Сб. ст., 1979; В. Борисов, Перспективы рождаемости, 1976; Б. Балахсен, Рождаемость. Сб. ст.; Проблемы статистики населения, 1985, М.

ისტორია მოგვითხრობს არათუ ოდესლაც ძლიერი ცალკეული გვარების, თემების, ოჯახების, სოფლებისა და ქალაქების, არამედ თვით სახელმწიფოების, საერთოდ, დიდი ტივილიზაციების პირისაგან მიწისა აღვეის თაობაზე... შორს რომ არ წავიდეთ, მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, საღაც ახლა ბევრად მეტია მოსახლეობა, ვიდრე ოდესმე ყოფილა, ჯერ კიდევ საკმაოდ მოიპოვება ნამოსახლარი, ნასოფლარი და ნაქალაქარი აღვილები..., რომელთა კვალი, ზოგჯერ თითქმის საგსებით წარხოცილია...

მრავალი შეხედულება (თეორია) არაებობს, თუ რა იყო კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე და სხვადასხვა მატერიკზე სხვადასხვა ცივილიზაციის აღორძინება-აყვავებისა და, ოდესლაც მაღალი კულტურის შემქმნელი ხალხების აორთქლება-განადგურების მიზეზები...

დღეს, მოსახლეობის აღწარმოების პრობლემები, საკმაოდ მწვავე დემოგრაფიული ვითარების პირობებში, უფრო შეცნობილი და, ამდენადვე უფრო აქტუალურია, ვიდრე ოდესმე. მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი აღმავლობისა და ახალი დიდი ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების უახლესმა მოვლენებმა უღრმესი ძრები გამოიწვია ადამიანთა ცნობიერებასა და ყოფიერებაში, საერთოდ, ცხოვრების ნორმებსა და ფორმებში... !

თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის (ვაჭრობის, კომუნიკაციების), მოჩვენებით მაინც, უსასრულო დინამიზმის ვითარებაში, პლანეტაზე დაიწყო მოსახლეობის მოულოდნელი სწრაფი გამრავლება, რამაც მაღალ დიფერენციული ხასიათი მიიღო და მერმე, ასევე მოულოდნელად, დაიწყო ბუნებრივი გამრავლების ტემპის შენელება, რამაც ზოგიერთ რეგიონში (ინდუსტრიული ქვეყნებისა) დეპოპულაციის შიშიც დათესა.

საერთოდ, მოსახლეობის აღწარმოების შენელებას და მოსალოდნელ დეპოპულაციას, პერსპექტივაშიც და არსებულ სინამდვილეშიც სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა აქვს და განსხვავებულ შედეგებსაც მოასწავებს კერძოდ მცირერიცხო-

ვანი (3-5 მილიონიანი) და მრავალრიცხვეანი (80-100 და მეტი მილიონიანი) ერების სახელმწიფოებრივ თუ ნაციონალურ გაერთიანებათა ცხოვრებაში...

სხვადასხვა ქვეყანაში: ეკროპის სოციალისტურ სახელმწიფოებში, განვითარებად ქვეყნებში და სსრ კავშირში დამოგრაფიული პოლიტიკის სფეროში კარგა ხნის მანძილზე გატარებული ცდების შედეგად მიღებულმა გამოცდილებამ ნათლად გვიჩვენა, რომ ერთი რაიმე ცალკე ლონისძიების, მაგალითად, მრავალშვილიანებისათვის გაცემული დაბმარების მეოხებით, შეუძლებელია დიდი ხნის მანძილზე დამყარებული დემოგრაფიული სიტუაციის რამდენადმე მაინც შესამჩნევი შეცვლა.

ამიტომაც ყველაზე უფრო საფუძვლიანი ჩანს იმ დემოგრაფთა მოსახრება, რომელთაც მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპის გაძლიერებისათვის აუცილებლად მიაჩნიათ ლონისძიებათა მთელი კომპლექსის თანმიმდევრული გატარება. იგი უნდა შეიცავდეს არა მხოლოდ ეკონომიკური ხასიათის ლონისძიებათა სისტემას, არამედ, ამასთანაერ მოსახლეობაზე სოციალური, მორალური, ადმინისტრაციული, უფლებრივი, ფსიქოლოგიური, ნაციონალური და სხვა ფაქტორების ზემოქმედების საშუალებებს — გაფართოებული აღწარმოების შედარებით მაღალი ტემპების დამკვიდრებისათვის, საერთოდ მთელი მოსახლეობის განვითარებისათვის, ოჯახთა შედგენილობის გაძლიერებისათვის¹.

მოსახლეობის აღწარმოების პრობლემა რომ მრავალფაქტორიანი ფენომენია, ეს იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ ანალოგიურ სოციალურ და ეკონომიკურ, წარმოებრივ და საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ და, ბოლოს, თვით ერთნაირ ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებში მცხოვრები ხალხები ავლენენ განსხვავებულ დემოლოგიურ ხასიათის გადასაცემის განვითარებისათვის².

¹ Управление развитием народонаселения в СССР, 1977; Трудовые ресурсы СССР, 1979; Основы теории народонаселения, 1977; Марксистско-ленинская теория народонаселения, 1974; Система знаний о народонаселении, 1976; Л. Леви, Д. Андерсон, Народонаселение, Окружающая среда и качество жизни, 1979.

თებს და ამ მხრივ ყველაზე უფრო ნიშანდობლივია მათი ნაციონალური, რასობრივი, ეთნოგრაფიული, რელიგიური და საერთოდ ისტორიული წარსული.

— სხვადასხვანაირია მოსახლეობის ბუნებრივი გამრავლების ტემპი, მაგალითად, ამიერქავებისის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში — აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში, სადაც მოსახლეობის ძირითად მასებს შეადგენენ (შესაბამისად) აზერბაიჯანელები, ქართველები და სომხები, სადაც თითქმის ერთდროულად დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, სადაც ერთდროულად აშენდა სოციალისტურ წარმოებრივ ურთიერთობათა სისტემა, და სადაც ერთდროულად მოხდა გადასვლა განვითარებული (მომწიფებული) სოციალისტური საზოგადოების წიაღში...

კიდევ მეტი. სხვადასხვანაირია მოსახლეობის აღწარმოების ტემპი, მაგალითად, თვით საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ხალხთა — აზერბაიჯანელთა, სომხეთა, ქართველთა, ოსთა, აფხაზთა, აისორთა — შორის; მაგრამ კიდევ უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ განსხვავებულია ეს ტემპები თვით ქართველთა შორის, სანელდობრ, მუსლიმან და ქრისტიან ქართველთა მოსახლეობას შორის¹.

სსრ კავშირის სხვადასხვა რეგიონში ბუნებრივი, კლიმატური პირობების, შრომისა და ცხოვრების მკვეთრად განსხვავებული პირობების შესაბამისად დემოგრაფიული პროცესებისადმი დიფერენციული მიღვომა უკვე გარკვევითაა მინიშნებული სკკ ცკ-ისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთობლივ დადგენილებაში „შვილებიანი ოჯახებისათვის სახელმწიფოებრივი დახმარების გაძლიერების ზომების შესახებ“¹, სადაც აღნიშნულია, რომ 1981 წლიდან მოყოლებული ტარდება შვილებიანი დედებისათვის ხელფასიანი შვებულების სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა განაკვეთიანი საზღაუ-

¹ «Правда», 1981, 3.31.

2. 3. გუგუშვილი

რები: შორეულ აღმოსავლეთში, ციმბირსა და ჩრდილოეთის
რაიონებში 50 მან., ხოლო დანარჩენ რაიონებში — 35 მან.

ცივილიზაციის მაღალ საფეხურზე, თანამედროვე კითა
რებაში, დემოგრაფიული პროცესები არცთუ იმდენად, მაგრამ
მაინც სულ უფრო მეტი ზომით ექვემდებარება საზოგადოე-
ბისა თუ სახელმწიფოს მხრივ აღნიშნული პროცესების მარ-
თვის ინტერესებს... მაგრამ ეს მხოლოდ იმდენად, რამდენა-
დაც და რა ზომითაც მიუწვდება მას ხელი, საერთოდ, მო-
სახლეობის აღწარმოების (თანმიმდევრული ცვალებადობის)
კანონზომიერებათა მეცნიერული ახსნა-გაგებისა და, მაშასა-
დამე, მოწესრიგებისადმი, ე. ი. რამდენადაც შეძლებს აღამი-
ანთა საზოგადოება ამ მხრივ თავისი ინტერესების (მაგალი-
თად, ოჯახის სტრუქტურის, მისი სულადობრივი შედგენილო-
ბის, შვილთა შობისა და ა. შ.) ისე წარმართვას, რომ იყი
როგორც სოციალური ფასეულობა, ცივილიზაციის განვითა-
რების შესაბამის საფეხურებზე ოპტიმალურად მისაღებ ხა-
სიათს იღებდეს.

ამასთანავე, ისეთ დიდსა და მრავალეროვან, სხვადასხვა-
გვარი კულტურული და ეთნიკური წარმომავლობის ქვეყანა-
ში, როგორიც საბჭოთა კავშირია, ცხადია, არ შეიძლება, რომ
ეს პროცესები ერთდროულად და თანაბარზომიერად მიმდინა-
რეობდეს. მაგალითად, სომხეთის, აზერბაიჯანისა და შუა აზი-
ის რესპუბლიკებში ამჟამადაც, მართალია, შენელების ტე-
ლენციით, მაგრამ მაინც შენარჩუნებულია მრავალშვილიანო-
ბის ძველი ტრადიცია, რაც ბალტისპირეთის რესპუბლიკებ-
ში, საქართველოში, ბელარუსიაში, უკრაინაში და საკუთრივ
რუსეთში უკვე კარგა ხანია შეიცვალა ოჯახში 2-3 და უფრო
ნაკლები შვილით¹.

ცხადია, შექმნილ ვითარებაში დემოგრაფიული პოლიტი-
კის მთავარი აზრი არ შეიძლება სხვა რამე იყოს, თუ არა
მოსახლეობის აღწარმოების კრიტერიუმების შემუშავება და

¹ Воспроизводство населения СССР, под ред. А. Вишневского и А. Болкова, 1983.; М. А. Бишневский, Воспроизводство населения и общество..., 1982, №.

ისეთი ღონისძიებების გატარება, რომ თაობათა ცვლის ნორმა მაღლური დონე იქნეს შენარჩუნებული¹...

სკპ XCVII ყრილობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია, საერთოდ, დემოგრაფიის აქტუალურ საკითხებს და თვით ოჯახის განმტკიცების პრობლემას. ყრილობაზე მხანაგრ. ს. გორბაჩივის მოხსენებაში აღნიშნულია რა სოციალიზმის დიდი მიღწევები ქალის ემანსიპაციის სფეროში, ნათქვამია, რომ ახალი ოჯახის ფორმირება იოლი საქმე არაა... ცოტა როდია გაყრის რაოდენობა და არაკეთილნაყოფიერი ოჯახები, რაც „...უარყოფით გავლენას ახდენს უპირველეს ყოვლისა ბავშვების აღზრდაზე; აგრეთვე ქალებისა და ვაჟების მორალურ მდგრადირობაზე“, მათს შრომითსა და საზოგადოებრივ აქტიურობაზე“, რომ ოჯახი საზოგადოების „...ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია“, რომ „განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებენ ახალგაზრდა ოჯახები“..., რომ აუცილებელია „ქალთა შრომისა და ყოფის ისეთი პირობების შექმნა. რაც საშუალებას მისცემს მათ, დედობა წარმატებით შეუხამონ შრომითს და საზოგადოებრივ მოღვაწეობას“ და ა. შ. ხოლო ამის საფუძველზე დასახულია ქმედითი ღონისძიებები ეითარების შემდგომი და ყოველმხრივი გაუმჯობესებისათვის².

1 და მაიც სსრკ ნაციათა მოსახლეობის აღწერმოების ამჟამად ანსებული ტაბების შიხედეთ, თუკი აღწარმოება ასეოგვე ტემპებით გავრცელდა, დაცუნტი ტ. სმირნოვი თავის დაკვირვებათა და გაანგარიშებათა შედეგად იმ საეგებისო დასკვნაშდე მიდის, რომ მოსახლეობის რაოდენობის შიხედეთი: „2021 წელს უზედები დაეწევიან უკრაინელებს, ხოლო 2069 წელს — რუსებს: უშებეგთა რაოდენობა იქნება 259,2, ხოლო რუსებისა — 258,0 მილიონი“;

2 დღით და ღრმა სოციალური ცვლილებები მიმდინარეობს სამკორე საზოგადოებაში. უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის განმიღლობაში მოსახლეობის ერთ სულხე რეალური შემოსავალი გაიზარდა 2,6-ჯერ. ასეგმოთი ხასიათის ცვლილებები ხდება მოსახლეობის მომსიქმედებათა და მოხმარებაში. მაგალითად, თუ 1960 წელს 100 ოჯახში მოდიოდა 8 ტელევიზორი და 4 მაკინეარი, 1985 წელს კი, შესაბამისად, — 27 და 91. უართო პროგრამით განხორციელებულ საბინა მშენებლობას შედეგად მოყვა ოჯახთა უზრავლესობის საბინა პირობების უარყოფებება. სსრკ დამთვრდა ასალგაზრდობის საკონკრეტოათ საშუალო განათლებაში

ਇਹਨਾ ਵਾਂ ਜ਼ਿਲ੍ਹੀ

ਇਹਨਾ ਵਾਂ ਜ਼ਿਲ੍ਹੀ ਉਦ੍ਘਾਲੇਸਿ ਦਾ ਪ੍ਰਗਤਿਸ਼ੋਭਾਵ ਦੀ ਸੰਖੇਪ ਵਰਣਨ ਹੈ, ਜਿਸ ਵਿੱਚ ਆਮ ਅਤੇ ਵਿਸ਼ੇਸ਼ ਮਾਮਲਿਆਂ ਦੀਆਂ ਵਿਸ਼ੇਸ਼ ਵਿਸ਼ੇਸ਼ਤਾਵਾਂ ਦੀ ਵਰਣਨ ਕੀਤਾ ਜਾਂਦਾ ਹੈ।

ਇਹਨਾ, ਕਾਲੀ — ਸ਼ਬਦਾਲਾਸ਼ਕਾ ਹੈ ਜੋ ਧਾਰਮਿਕ ਵਿਅਕਤੀਆਂ ਦੀ ਵਿਸ਼ੇਸ਼ ਵਰਣਨ ਕਰਦਾ ਹੈ। ਇਹਨਾ ਵਾਂ ਜ਼ਿਲ੍ਹੀ, ਯਮਾ, ਸ਼ਿਵਾਮਨਸਾਮਨਾਵਾਂ, ਤਾਵਿਸ਼ੁਫ਼ਤਾਲਾਂ, ਮੌਜ਼ਾਲਾਵੇ, ਰਾਜਿਕਾਵਾਂ ਵਿੱਚ ਮੁਹੱਦਾ ਦੀ ਵਰਣਨ ਕਰਦਾ ਹੈ। ਇਹਨਾ ਵਾਂ ਜ਼ਿਲ੍ਹੀ, ਸਾਂਕੇਲਿਕ ਵਿਅਕਤੀਆਂ ਦੀ ਵਿਸ਼ੇਸ਼ ਵਰਣਨ ਕਰਦਾ ਹੈ।

ਇਹਨਾ, ਕਾਲੀ — ਸ਼ਬਦਾਲਾਸ਼ਕਾ ਹੈ ਜੋ ਧਾਰਮਿਕ ਵਿਅਕਤੀਆਂ ਦੀ ਵਿਸ਼ੇਸ਼ ਵਰਣਨ ਕਰਦਾ ਹੈ। ਇਹਨਾ ਵਾਂ ਜ਼ਿਲ੍ਹੀ, ਯਮਾ, ਸ਼ਿਵਾਮਨਸਾਮਨਾਵਾਂ, ਤਾਵਿਸ਼ੁਫ਼ਤਾਲਾਂ, ਮੌਜ਼ਾਲਾਵੇ, ਰਾਜਿਕਾਵਾਂ ਵਿੱਚ ਮੁਹੱਦਾ ਦੀ ਵਿਸ਼ੇਸ਼ ਵਰਣਨ ਕਰਦਾ ਹੈ। ਇਹਨਾ ਵਾਂ ਜ਼ਿਲ੍ਹੀ, ਸਾਂਕੇਲਿਕ ਵਿਅਕਤੀਆਂ ਦੀ ਵਿਸ਼ੇਸ਼ ਵਰਣਨ ਕਰਦਾ ਹੈ।

ਇਹਨਾ ਵਾਂ ਜ਼ਿਲ੍ਹੀ, ਕਾਲੀ — ਸ਼ਬਦਾਲਾਸ਼ਕਾ ਹੈ ਜੋ ਧਾਰਮਿਕ ਵਿਅਕਤੀਆਂ ਦੀ ਵਿਸ਼ੇਸ਼ ਵਰਣਨ ਕਰਦਾ ਹੈ। ਇਹਨਾ ਵਾਂ ਜ਼ਿਲ੍ਹੀ, ਕਾਲੀ — ਸ਼ਬਦਾਲਾਸ਼ਕਾ ਹੈ ਜੋ ਧਾਰਮਿਕ ਵਿਅਕਤੀਆਂ ਦੀ ਵਿਸ਼ੇਸ਼ ਵਰਣਨ ਕਰਦਾ ਹੈ।

ਇਹਨਾ ਵਾਂ ਜ਼ਿਲ੍ਹੀ, ਕਾਲੀ — ਸ਼ਬਦਾਲਾਸ਼ਕਾ ਹੈ ਜੋ ਧਾਰਮਿਕ ਵਿਅਕਤੀਆਂ ਦੀ ਵਿਸ਼ੇਸ਼ ਵਰਣਨ ਕਰਦਾ ਹੈ।

ਇਹਨਾ ਵਾਂ ਜ਼ਿਲ੍ਹੀ, ਕਾਲੀ — ਸ਼ਬਦਾਲਾਸ਼ਕਾ ਹੈ ਜੋ ਧਾਰਮਿਕ ਵਿਅਕਤੀਆਂ ਦੀ ਵਿਸ਼ੇਸ਼ ਵਰਣਨ ਕਰਦਾ ਹੈ।

ਇਹਨਾ ਵਾਂ ਜ਼ਿਲ੍ਹੀ, ਕਾਲੀ — ਸ਼ਬਦਾਲਾਸ਼ਕਾ ਹੈ ਜੋ ਧਾਰਮਿਕ ਵਿਅਕਤੀਆਂ ਦੀ ਵਿਸ਼ੇਸ਼ ਵਰਣਨ ਕਰਦਾ ਹੈ।

(ფულადი, მატერიალური, კულტურული, მორალური) დან-
გარების სახით. ასე, მაგალითად, პირველი შვილის დაბადები-
სას დედას ეძლევა ერთდროული დახმარება 50 მანეთის რა-
ოდენობით, ხოლო მეორე და მესამე ბავშვის გაჩენისას —
100 მან. ამასთანავე, დედებს, რომელთაც ორი შვილი ჰყავთ,
მესამე და ყოველი შემდგომი შვილის დაბადებისას ეძლევათ
სახელმწიფოებრივი ერთდროული დახმარება, ხოლო მეოთხე
და შემდგომი შვილების გაჩენისას — ყოველთვიური დახმა-
რება.

ყოველთვიური დახმარება ეძლევათ მარტოხელა დედებ-
საც. ამასთანავე, ისინი და აგრეთვე ის ოჯახები, რომელთა
საშუალოთვიური შემოსავალი ოჯახის ერთ სულზე 60 მა-
ნეთს არ აღმატება, თავისუფლდებიან ინტერნატებში ბავშვ-
თა შენახვის საფასურისაგან; ისინი არაფერს იხდიან აგრეთვე
სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა მოელა-პატრონო-
ბისათვის. ხოლო უფრო მეტი შემოსავლის მქონე მშობლები,
რომელთაც ოთხი და მეტი შვილი ჰყავთ, იხდიან საფასურის
მხოლოდ ნახევარს.

მუშა-მოსამსახურე და კოლმეურნე ქალებს ორსულობი-
სა და მშობიარობის დროს ეძლევათ 56 დღის ხელფასიანი
შვებულება და ამდენივე კიდევ მშობიარობის შემდეგ. ხოლო
ორი და მეტი ბავშვის დაბადების შემთხვევაში შვებულების
დრო კიდევ უფრო იზრდება. დეკრეტული შვებულებისას მათ
ეძლევათ სრული ხელფასი, შრომითი სტაჟისაგან დამოუ-
კიდებლად.

ამის შემდეგ კიდევ ერთი წლის შესრულებამდე, ბავშვის
მოვლა-პატრონობისათვის დედას ეძლევა ნაწილობრივ-ხელ-
ფასიანი შვებულება და თანაც უფლება აქვს დამატებით მიი-
ღოს უხელფასო შვებულება, სანამ ბავშვი წლინახევრისა გახ-
დება. ამასთანავე, ეს შვებულება არ არღვევს სპეციალობის
მიხედვით მუშაობის სტაჟის მთლიანობას.

ჩვენ აქ დრო და ადგილი არ გვითხნის, დეტალურად
გაღმოვცეთ, მაგალითად, ბავშვების ავადმყოფობისას დე-
დებისათვის დახმარებისა და შვებულების მიცემის პირობები
და სხვა შეღავათები, რასაც საბჭოთა კანონი ითვალისწინებს.

ვიტუვით მხოლოდ, რომ ჩვენს ქვეყანაში დედა — შვილები აღმზრდელი და პატრიონი — სარგებლობს მაღალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი პრესტიჟით და საყოველ-თაო-სახალხო პატივისცემით¹.

დედებს, რომელთაც დაბადეს და აღზარდეს ათი შვილი, ენიჭებათ (1944 წლიდან) საპატიო წოდება „გმირი დედისა“ და ეძლევათ „გმირი დედის“ ორდენი. ასევე, — „დედის დიდების“ ორდენი ეძლევათ დედებს, რომელთაც გააჩინეს და აღზარდეს 7, 8 ანდა 9 შვილი, ხოლო „დედობის მედალი“ — დედებს, რომელთაც დაბადეს და აღზარდეს 5 ან 6 შვილი.

დედებისა და შვილების ჯანმრთელობის დაცვისა და კეთილდღეობისათვის საბჭოთა კავშირში შექმნილია მთელი ქსელი სამშობიარო სახლების, დედათა და ბავშვთა კონსულტაციების, სამკურნალო დაწესებულებების, დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების სახით².

საბჭოთა სახელმწიფო, გარდა იმისა, რომ შრომის თანაბარ უფლებას ანიჭებს ქალსა და ვაჟს, ქალის ორგანიზმის ფიზიოლოგიურ თავისებურებათა გათვალისწინებით, კანონმდებლობით აღენს სპეციალურ წესებსა და ნორმებს ორსული და ძუძუთა ბავშვიანი ქალის შრომის პირობების დაცვა-გაუმჯობესებისათვის... გარდა საერთო შესვენებისა, მათ ეძლევათ დამატებითი დრო ბავშვის გამოკვებისათვის. დაუშვებელია ასეთი ქალების ლამით, ზედმეტ საათებში და გამოსასვლელ დღეებში მუშაობა, მივლინებაში გაგზავნა. აუცილებლობის შემთხვევაში ორსული ქალები გადაიყენებიან უფრო მსუბუქ სამუშაოზე — საშუალო ხელფასის შენარჩუნებით³.

1 ავლიბი ზურაბ აშვილი, ოვანი, დედობა, ზეობა, 1985, თბ., იზა ცნობილადე, ოვანი, სამართალი, მორალი, 1981, თბ.

2 ირაკლი ფადავა, მრავალი შვილი ერის უკვდავებაა, 1984, თბ.

3 А. Антонов, Социология рождаемости, 1980; В. Бойко, Рождаемость, 1985; В. Борисов, Перспективы рождаемости, 1979; А. Каша, Демографическая политика в СССР, 1981; Женщины и дети в СССР, 1985; Сб. ст.; Л. Чуйко, Браки и разводы, 1985; Управление демографическими процессами, сб. ст., 1980, М.

მრავალშვილიანი და, საერთოდ, შვილიანი დედების პენ-
სიის დანიშვნისას შეღავათებით სარგებლობენ. საერთოდ კი,
საბჭოთა კავშირში არა ნაკლები 20 წლის მუშაობის სტაგიანი
ქალები ასაკობრივ პენსიებს ღებულობენ 55 წლიდან¹. საპენ-
სიო ასაკი შესამჩნევად უფრო მაღალია კაპიტალისტურ ქვეყ-
ნებში, როგორც ქალებისა, ისე ვაჟებისათვის და სხვადასხვა
სახელმწიფოში 63-65 წლებიდან იწყება და ზოგან კიდევ
უფრო მაღალი ასაკიდან.

საბჭოთა საქართველოში შობადობისა და, საერთოდ, მო-
სახლეობის ბუნებრივი მოძრაობის და ქორწინება-განქორწი-
ნების შესახებ წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი
ცხრილები, რაც, ეფიქრობ, ჩემი მკითხველისათვის კომენტა-
რების გარეშეც აღვილად გასაგები იქნება (იხ. ცხრილები
გვ. 24—25).

ამ ცხრილებთან დაკავშირებით საჭიროა ითქვას, რომ სა-
ქართველოში და საერთოდ სსრკ-ში, კარგა ხანია, შეიმჩნევა შო-
ბადობის ინტენსივობის დაცემა, განქორწინების ზრდა, ოჯა-
ხების ნუკლეარიზაცია და მისი საშუალო ზომის (სულობრი-
ვი შედგენილობის) შემცირება. ეს ტენდენცია, როგორც საბ-

1 ასეთი დემოგრაფიული პოლიტიკის შედეგიანობაზე მეტყველებს
ჩეხოსლოვაკიის მაგალითი, სადაც მოსახლეობის ოლწარმოების მაჩვენებ-
ლები უკვე XX ს. დასაწყისიდანვე ფრიად არახელსაყრელი შეიქნა... 1918
წლიდან, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის წარმოქმნის დროიდან, მხოლოდ
სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეები ღებულობდნენ ბავშვის
აღზრდისათვის ყოველთვიურ დახმარებას (150 კრონს ერთ ბავშვზე და
250 კრონს ორსა და მეტ ბავშვზე, — როცა ამ მოსამსახურეთა საშუა-
ლოთვიური ხელფასი 1750 კრონს შეადგენდა).

სოციალისტური წყობილების დამყარების დროიდან აქ უკვე იწყება
ნამდვილად აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება. თუმცა
შობადობისა და, საერთოდ, მოსახლეობის ოლწარმოების ნეტო-კოეფიცი-
ენტი მაინც დაბალი რჩებოდა. 1967 წელს იგი უდრიდა 0,981-ს. მაგრამ
თანდათანობით, 1945-1947 წლებიდან დაწყებული, სახელმწიფოებრივი
დახმარების გაძლიერებამ, 1968 წლიდან ხელფასიანი სადეკრეტო შეებუ-
ლების 26 კვირამდე გახანგრძლივებამ და სხვ., როგორც ცნობილი დე-
მოგრაფი ვ. სრბა აცხადებს, „დიდი გავლენა მთავრინეს შობადობის დო-
ნის ამაღლებაზე“ (В. Срб, Ближние демографических мероприятий
на повышение рождаемости в ЧССР (См. сб. ст. Демографическая
политика, 1974, стр. 124—128)).

წლები	მოსახლეობა 1000 სულე			1000 დაბადები ბეჭდი ბავშვები 1 წლის ასაკის შესტრულებაზე შეკვეთი
	დაიმიადა	გარდაიცვალა	ბუნებრივი მარება	
1950	23,5	7,6	15,9	51,6
1951	23,9	7,8	16,1	58,7
1952	24,6	7,8	16,8	58,3
1953	22,6	7,8	14,8	55,6
1954	24,7	7,2	17,5	55,2
1955	24,1	6,7	17,4	50,7
1956	23,7	6,3	17,4	35,8
1957	23,0	7,0	16,0	46,9
1958	23,4	6,6	16,8	40,6
1959	24,2	7,0	17,2	38,3
1960	24,7	6,5	18,2	36,8
1961	24,7	6,5	18,2	33,7
1962	23,7	7,1	16,6	36,7
1963	23,0	6,8	16,2	34,5
1964	22,0	6,7	15,3	31,6
1965	21,2	7,0	14,2	33,9
1966	20,3	6,7	15,3	31,9
1967	19,5	7,2	12,3	28,9
1968	19,4	7,0	12,4	28,7
1969	18,7	7,5	11,2	28,1
1970	19,2	7,3	11,9	25,3
1971	19,0	7,4	11,6	24,5
1972	18,0	7,6	10,4	25,0
1973	18,3	7,4	10,9	29,7
1974	18,4	7,6	10,8	30,4
1975	18,3	8,0	10,3	32,7
1976	18,4	7,6	10,5	29,5
1977	17,9	8,1	9,8	30,2
1978	17,7	8,0	9,7	26,5
1979	17,9	8,3	9,6	29,0
1980	17,7	8,6	9,1	25,4
1981	18,2	8,6	9,6	29,7
1983	18,0	8,4	9,6	23,9
1984	18,5	8,8	9,7	23,7
1985	18,8	8,9	9,9	—

¹ Народное хозяйство СССР в 1983 г., с. 32—38; Народное хозяйство ГССР в 1985 г., 1985, с. 7.

ვოთა ეთნოგრაფები ფიქრობენ, ჯერ კიდევ გაგრძელდება და უშუალო კავშირშია განათლებისა და კულტურული ღონის ამაღლების, ქალთა დიდი ნაწილის მთლიანად საზოგადოებრივ წარმოებაში ჩაბმისა და სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა სხვა პროცესებთან¹.

რეგისტრირებული ქორწინებისა და განქორწინების რიცხვი საქართველოს სსრ მოსახლეობის 1000 სულში

წლები	ქორწინება			განქორწინება		
	სულ	ქალაქი	სოფელი	სულ	ქალაქი	სოფელი
1950	8,9	12,2	7,0	0,1	0,3	0,0
1951	8,9	11,5	7,3	0,1	0,3	0,0
1952	8,4	10,2	7,3	0,1	0,3	0,0
1953	8,5	11,0	6,9	0,2	0,4	0,0
1954	9,0	11,6	7,4	0,2	0,4	0,0
1955	8,9	11,0	7,5	0,2	0,4	0,0
1956	9,6	12,1	7,8	0,2	0,4	0,0
1957	9,9	12,4	8,2	0,2	0,4	0,0
1958	10,5	12,2	9,3	0,3	0,7	0,0
1959	10,2	11,9	9,0	0,3	0,8	0,0
1960	10,6	11,9	9,6	0,4	0,8	0,0
1961	9,9	11,4	8,7	0,4	0,9	0,0
1962	9,4	10,0	8,9	0,4	1,0	0,0
1963	9,1	9,5	8,7	0,4	1,9	0,0
1964	8,8	8,8	8,7	0,4	0,9	0,0
1965	8,7	8,5	8,9	0,5	1,0	0,0
1966	8,9	8,8	9,0	1,0	2,9	0,0
1967	8,4	8,6	8,1	1,0	1,9	0,0
1968	8,0	8,1	7,9	1,0	1,9	0,0
1969	7,6	7,8	7,5	1,0	1,9	0,1
1970	7,8	8,1	7,5	1,1	2,1	0,1
1971	7,8	8,1	7,4	1,0	2,1	0,0
1972	7,5	7,7	7,3	1,0	2,0	0,0
1973	8,2	8,7	7,7	1,1	2,1	0,1
1974	8,6	9,0	8,2	1,1	2,1	0,1
1975	8,6	8,9	8,3	1,1	2,2	0,1
1976	8,9	8,8	9,0	1,2	2,4	0,1
1977	8,9	8,8	9,0	1,3	3,3	0,1
1978	9,4	9,1	9,6	1,3	2,5	0,1
1979	10,4	9,8	11,2	1,3	2,4	0,2
1980	10,0	9,6	10,4	1,3	2,4	0,2
1984	8,1	8,5	7,6	1,4	2,3	0,3

¹ Г. Киселева..., Эволюция брачно-семейной структуры населения СССР (ФРС, стр. 47);

² გ ე გ უ შ ვ ი ლ ი, მოსახლეობა, თეატრ, უკლიანობა, გვ. 99—124.

მიგრაცია (ლათ. *migratio*) — ადამიანთა გადასადგილება დროებით (სამუშაოდ) ან სამუდამოდ (საცხოვრებლად) — ემიგრაციის ანდა იმიგრაციის სახით. ჩვეულებრივ განსახვავებენ შინაგან (მოცემული სახელმწიფოს ფარგლებში) და სა-გარეო (სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ) მიგრაციას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული გაგებით „მიგრანტებს“ უწოდებენ ადამიანებს, რომლებიც სამუშაოზე მოწყობის მიზნით მიღიან იმ ქვეყანაში, რომლის მოქალაქენიც ისინი არ არიან“ (მათ არ განეკუთვნებიან ლტოლვილები, ტურისტები, პილიგრიმები — მლოცველები და მომთაბარენი).

შრომის საერთაშორისო ბიუროს მონაცემებით შრომა-უნარიანი მიგრანტების რაოდენობა მსოფლიოში 1985 წლისათვის შეადგინდა დაახლოებით 20-22 მილიონს. საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკურ შესწავლას ართულებს ავთენტურ მონაცემთა მოპოვების სიძნელე და თვით „მიგრანტის“ ცნების სტატისტიკური გაგება.

ცხოვრების უკეთესი პირობების მაძიებელ ადამიანთა ჯგუფების, ზოგჯერ კი მთელი ტომების სხვა აღილებში გა-
დასვლა უძველესი დროიდანვე ხდებოდა. მიგრანტები, მათი
რაოდენობის შესაბამისად, ხშირად დიდ გავლენას ახდენდ-
ნენ როგორც იმ ქვეყანაზე, საიდანაც გადიოდნენ, ისე იმაზე,
სადაც სამუშაოს საძიებლად, თუ საცხოვრებლად ჩადიოდ-
ნენ.

ახალ პერიოდში მატერიკიდან მატერიკზე მოსახლეობის გასობრივი გადასახლების შედეგად ახალი სახელმწიფოებიც კი წარმოიშვა (მაგ., აშშ), რაც იმას მოწმობს, რომ მიგრაცია შეიძლება იყოს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ფაქტორიც.

¹ «Курьер Юнеско», 1985, X.

* * *

როგორც ცნობილია, მოსახლეობის მექანიკური მოძრაობა, მიგრაცია, უპირატესად მაინც ახალგაზრდობას შეეხება, რომელიც, საერთოდ, ქმნის შრომითი რესურსების ყველაზე მობილურ ნაწილს, უფრო მიისწრაფვის ახალისაკენ, კვალიფიკაციისა და, საერთოდ, ცოდნის ამაღლებისაკენ.

რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მისი ინდუსტრია, მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის, კომუნიკაციების საშუალებები, მით უფრო გაადვილებულია მიგრაცია, რომელმაც შესაძლოა მასობრივი ხასიათიც კი მიიღოს. მაგრამ მიგრაცია (განსახლება) საბოლოოდ, როგორც წესი, განსაზღვრულია წარმოების (უპირატესად მრეწველობის) გაადგილებით, მეგალოპოლისების წარმოშობით და სხვ¹.

თანამედროვე ულიდეს ქალაქში, მაგალითად, ტოკიოში 14 მლნ. მცხოვრებია. ამათგან სადღედამისოდ აქ ცხოვრობს 12 მლნ. კაცი, დანარჩენი 2 მლნ. კი დღისით მოდის სხვადასხვა ქალაქებიდან აქ სამუშაოდ. ყოველ დღით ეს 2 მლნ. კაცი შემოღის და ხალამოთი კი გადის ასეული ელექტრომატარებლით, ათასობით ავტობუსით და ათეულ ათასობით აერომობილით.... ბევრ მათგანს ამ მიმოსელაში 4 საათამდე დრო ეხარჯება, ხოლო საშუალოდ ყოველ მათგანს თითო საათზე მეტქ.

ტოკიოში ბინა ძვირია, ამასთანავე აქ ბევრია მრავალსართულიანი (30—60—სართულიანი) რეზიდენციების სახლი, რასაც „იზვესტიას“ კორესპონდენტი, იური ბანდურა, ძევლი ტრადიციისამებრ მიწაზე კერძო საკუთრების არსებობითა და მიწის სიძეირით ხსნის... („იზვესტია“, 1981. I. 11).

* * *

ქ. ტოკიოს ზემოხსენებული დემოგრაფიული მოვლენა ქანქარისებური მიგრაციის ტიპიური მაგალითია. ქანქარა მიგრაცია გულისხმობს მოსახლეობის რეგულარულ მიმოსვლას ორ დასახლებულ პუნქტს შორის — ბინიდან — სამუშაო ადგილზე ან სასწავლებელში და, პირიქით. ქანქარისებური მიგრაცია უჩბანიზაციის შედეგია, როდესაც წარმოების (უმთავრესად მრეწველობის) ტერიტორიულ გადააღილებას არ შეესაბამება მოსახლეობის გაადგილება. ამ შემთხვევაში მოსახლეობა მიემართება სოფლიდან ქალაქისაკენ,

¹ Крупнейшие города — их настоящее и будущее, Сб. ст., 1979, М., стр. 81—83.

პატარა ქალაქიდან — დიდისაკენ. ამგვარად, კანქარა შეგრძელდა უმთავრესად გავრცელებულია მსხვილ ქალაქთა გარეუბნებსა და საქალაქო აგლომერაციებში და გულისხმობს სატრანსპორტო საშუალებათა განვითარებულობას.

კანქარა მიგრაცია, მოსახლეობის სოციალური მოძილურობის გაადგილებით, ხელს უწყობს და ზოგჯერაც აუცილებელი პირობაა შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და შესაფერისი სამუშაო და სასწავლო ადგილის გამონაწვისათვის; თუმცა, ამასთანავე, სამუშაო ადგილზე მიმოსვლის დროის გადაღებით და სხვა სახის სიძნელეებითაც ხასიათდება.

სსრკ ამჟამად საცხოვრებელ და სამუშაო (თუ სასწავლო) ადგილებს შორის ყოველწლიურად მიმოდის დაახლოებით 17 მლნ. კაცი. ისიც აღსანიშნავია, რომ სოფელსა და ქალაქს შორის ასეთი ხასიათის მიმოსვლა უკანასკნელ ხანებში კიდევ უფრო იზრდება და ეს ხელს უწყობს ქალაქური ცხოვრების წესის სოფლად დანერგვას და, საერთოდ, სოფელსა და ქალაქს შორის არსებითი განსხვავების ნიველირებას¹.

ამ დემოგრაფიული პროცესის ხასიათი იქნიდანაც ნათლად ჩანს, რომ სსრკ 1917 წლიდან 1985 წლამდე ქალაქის მოსახლეობა 151 მლნ. კაცით გაიზარდა, და ეს მაშინ, როდესაც სოფელისა შემცირდა — 37,7 მილიონით.

საქალაქო მოსახლეობის გამრავლების ინტენსიურობა, ცხადია, უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც სკეპ XIV ურილობამ ნათლად განსაზღვრა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის კურსი, ხოლო პარტიის ცენტრის 1965 წლის მარტის პლენური შემდეგ დაიწყო, საერთოდ, სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარების გზაზე გადასვლა.

საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ხსენებული დინამიკა ასეთ სურათს იძლევა (იხ. ცხრილი გვ. 29).

¹ И. Таборская, Маятниковая миграция населения..., 1979, М.; Б. Хорев..., Житель села — работник города, 1984, М.; В. Монсеенко, Территориальное движение населения, 1985, М.; Г. Лаппо, Развитие городских агломераций в СССР, 1978, М.; Д. Шелестов, Демография: история и современность, 1985, М.; О. Вакано, Миграция сельского населения в условиях агропромышленной интеграции («Вестник статистики», 1986, № 1, стр. 70—71).



წლები	სულ მოსახლეობა აბსოლუტ.	მათ შორის			
		აბსოლუტ.	სოფლი	ქალაქი	სოფლი
1917	163,0	29,1	133,9	18	82
1939	190,7	60,4	130,3	32	68
1959	208,8	100,0	108,8	48	52
1979	262,4	163,6	98,8	62	38
1985	276,3	180,1	96,2	65	35

აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ ამავე პერიოდში საქართველოს მთელ მოსახლეობაში ქალაქების ხვედრითი წილი 18%-დან გაიზარდა 53-მდე, ხოლო სოფლისა შემცირდა 82-დან 47 პროცენტამდე.

ამ მონაცემთა მთლიანი გააზრებისათვის საჭიროა, ისიც გავიხსენოთ, რომ, საერთოდ, მოსახლეობის ბუნებრივი აღწარმოების (გამრავლების) ტემპი სოფლებში უფრო მაღალია, ვინემ ქალაქებში...¹

* * *

შრომითი რესურსების ასპექტში აქვე უნდა შევეხოთ მიგრაციის ერთ-ერთ თავისებურ სახეობას, რაც ცნობილია „ჰკუათა წესვლის“ ანუ „ჰკუათა მოტაქების“ სახელწოდებით. მეოთხედ საუკუნეზე მეტია, რაც, მაგალითად, ამერიკული მონაბილიები და სხვადასხვა უწყებები „ნადირობენ“ უცხო ქვეყნებში „ჰკუათა, მაღალი გონიერით და ცოდნით დაჭილდობულ“ აღამიანებზე.

საქმიანდ სრული მონაცემების მხედვით მხოლოდ 1949-1978 წლებში იმიგრანტების სახით სხვადასხვა ქვეყნებიდან აშშ-ში გადასახლდა 285 ათასი მაღალკუალიტური სპეციალისტი, რომელთა შორის მეცნიერი შუშაკია 60,2 ათასი კაცი (ამათგან: 49,2 — ბუნებისმეტყველების, ხოლო დაახლოებით 11 ათასი — საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებისა, დანარჩენი 134,8 ათასი ინჟინერია, ხოლო 89,4 ათასი — ექიმი²).

¹ «Вестник статистики», 1986, № 1, стр. 70—71.

² А. Шлопаков, Л. Смирнова, США: «Похищение умов» в прошлом и настоящем. 1983, М., стр. 70.

ეს იმიგრაცია განსაკუთრებით გაძლიერდა 1965 წლის შემდეგი თვით ამერიკელი ექსპერტების გაანგარიშებით აშშ-ში საშუალოდ ერთი მეცნიერმუშავის ანდა ინჟინრის მომზადებაზე (სწავლებაზე) იხარჯება 36 ათასი, ხოლო ერთი ექიმის მომზადებაზე — 83 ათასი ღოლარი. ასეთივე გაანგარიშების მიხედვით, „უცხოური პეტების“ გადაბირების შედეგად აშშ-ში მაღალევალიფიციურ სკ. ციალისტთა მომზადებისათვის ეკონომიზებულმა თანხამ მხოლოდ 1971-1972 წლებში თითქმის 2 მილიარდი ღოლარი შეადგინა.

განვითარებადი ქვეყნებიდან მხოლოდ 1961-1978 წწ. აშშ-ში გადასახლებულ ადამიანთა „პოტენციური ცოლის“ „ფასის“ ქამობრივი გამოსახულება, ვარაუდობენ, 34 მლრდ. ღოლარს შეაღწევდა. ბურჟუაზიული ეკონომისტები და სოციოლოგები ფართს ეკონომისტების „შასვლა“ ერთი ქვეყნიდან მეორეში ორივე ქვეყნისათვის სასაჩვებლო პროცესი იყოს... სინამდვილეში კი, ცნობილი ფაქტია, მაგალითად, რომ პაკისტანში ამ ახლო წარსულში კერ მოხერხდა გახსნილიყო რამდენიმე სა-მეცნიერო დაწესებულება და ინსტიტუტი — იმის გამო, რომ მათ ხელმძღვანელებად გათვალისწინებული აღგილობრივი სკ. ციალისტები ემიგრაციაში (აშშ) წავიღნენ!

ამერიკული მონოპოლიები სისტემატურად ეწევიან ქვეით დაჭილდობული და სოლიდური ცოლის მქონე განსაკუთრებით ახალგაზრდა კადრების გადაბირებას, რითაც ასებითად დიდ ზიანს აყენებენ ამ უკანასკნელთა სამშობლოს ნაციონალური და მოუკიდებლობისა და კულტურული ეკოლუციის საქმეს.

1965 წელს დიდი ზარზეიმით მოაწერეს ხელი თავისუფლებას სტატუსთან ახალ კანონს, რის მიხედვით აშშ პირებულხარისხის მნიშვნელობას ანიჭებს იმიგრანტთა არა რასობრივ და ნაციონალურ წარმომავლობას, როგორც ეს ადრე ნდებოდა, არამედ შინ მხოლოდ... კვალიფიციანი²...

კიბიტალისტური მსოფლიო „პეტუს გადაბირების“ პოლიტიკის გაძლიერებით მოწალინებული ცველაჟერი გააქციას მის სათვის, რათა მიითვასოს ჩამორჩენილი, განვითარებადი ერების ზოგილგვარი სიმდიდრე, რისი წალებაც კი შეიძლებაა.

თანამდებროვე მიგრაციის მთავარი მიზეზებია ქვეყნების არა-თანამდარწმინდერი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება; — ეკონომიკური კრიზისები, სიღარიბე, უმუშევრობა, პოლიტიკური პერტურმაციები და სხვ., რაც აღმიანებს არცებობს, დროებით დატოვონ სამშობლო და სხვა ქვეყნებში ეჭიონ თავ-

¹ იქვე, გვ. 148-149.

² იქვე, გვ. 160.

³ სკკ 25 ყრილობის შასალები, გვ. 132.

შესაფარი, სამუშაო, არსებობის უკეთესი პირობები... ასეთებია უმთავრესად ინდუსტრიული ქვეყნები, სადაც ზოგჯერ დიდია მო-
თხოვნილება მუშაკებზე და უმთავრესად ისეთ სამუშაოზე, რომ
მეტაც აღვილობრივი მკვიდრინი არ ეტანებიან.

მიგრანტები თითქმის კველგან და უკველთვის ოქნებობენ, რომ
უკეთესი პირობების ვითარებაში დაუბრუნდებიან შშობლიურ
მიწასი... მიგრანტთა ცხოვრება საერთოდ მძიმეა. ჩშირად ისინი
პირდაპირ დევნას, შევიწროებას, დისკრიმინაციას განიცდიან, რაც
მით უფრო უტანელი ხდება, რომ მათი დიდი ნაწილი მოწყვე-
ტილია ოჯახსაც, მოკლებულია მის სითბოსა და სიამეს. მაგრამ
ოჯახიანებსაც ბედი ნაელებად ულიმის. მათი დიდი ნაწილი, უც-
ხოვრი ყოფა-ცხოვრების, ტრადიციის, პირობებში მწვაველ განიც-
დის ლტოლვილის ხედრს, ნოსტალგიას, რასაც ჩშირად ემატება
უმუშევრად დარჩენის შიშიც².

დასაცლეთის ზოგიერთ ინდუსტრიულ ქვეყანაში აბორიგენები
უკანასკნელ ხანებში უფრო არაეთილგანწყობილი ხდებიან იმიგ-
რანტებისადმი, რომელთაც უცურებენ როგორც კონკურენტებს
შრომის ბაზარზე... მართალია, მიგრანტები სწავლიბენ იმ ქვეზ-
ნის ენას სადაც საცხოვრებლად (სამუშაოდ) ჩასულან, ითესებენ
იქაურ კულტურას, ეუფლებიან ახალ სპეციალობებს, მაგრამ ისი-
ნი აქ მაინც უცხოელებად ითვლებიან, რომლებმაც ბოლოს, რო-
დესაც სამშობლოში დაბრუნდებიან მაინც უნდა განიცალონ რეა-
დაპტაცია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1984 წელს სა-
ერთაშორისო დემოგრაფიული კონგრესისათვის მომზადებული
მასალიდან ჩანს, რომ დასაცლე ევროპის ქვეყნებში 1974 წლი-
დან მოყოლებული, უმუშევრობისა და ეკონომიკური კრიზისების
შედეგად დაიწყო უცხოელ მუშათა დაქირავების შემცირება (შე-
ზღუდვა). ამიერიდან აქ თუ უცხოელთა რიცხვი მაინც იზრდება,
ეს — უპირატესად ბუნებრივი მატების შედეგად, რამდენადაც
დას. ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში მოქალაქეებაც არ ით-
ვლებიან უცხოელ მუშათა იქ დაბალებული შეიღები. მიუხედა-
ვალ ზემოაღნიშვნული შეზღუდვისა დასაცლეთის ინდუსტრიულ
ქვეყნებში მაინც ბლობად არიან უცხოელი მუშები.

1975 წელს „საერთო ბაზრის“ ქვეყნებში უცხოელ მუშათა და
მათი ოჯახის წევრთა საერთო რაოდენობა 12,5 მილიონს უდრიდა.

¹ Э. Ж. Томас..., Проблемы возвращения на родину («К. Юнеско», 1985, X, стр. 33—34).

² А. Овсян. Международно-правовая защита трудящихся ми-
грантов и их дискриминация при капитализме, 1980; Б. Хорев...
Проблемы изучения миграции населения, 1978, М.

1976-1979 წწ. აშშ დროებით შრომისმოწყობაზე უკაველწილების
საშუალოდ 91 ათას მეშის იღებდა. ოფიციალური ცნობით 1981
წელს, კანადის ხელისუფლებმა გასცეს 113 ათასი იმიგრანტის სა-
მუშაოზე მიღების ნებართვა.

1985 წელს გფრ და დასავლეთ ბერლინში ცხოვრობდა დას-
ლოებით 4,5 მლნ. უცხოელი (მათ შორის 35% — თურქეთის
მოქალაქე — იმიგრანტ მუშათა უველაზე მრავალრიცხვები ჩა-
ფი), რომელთა მომავალი ბედი ფრიად ბუნდესანია. აქ 2,9 მლნ.
უცხოელი უკვე 8 წელიწადზე მეტია მუშაობს, მაგრამ სამუდა-
მოდ გფრ დარჩენის უფლება მათგან მხოლოდ 3,2% აქს ჩილე,
ბულგარია.

უახლესი ცნობით ინგლისში სულ უფრო იზრდება იმიგრა-
ტთა უმუშევრობა. 1984 წელს უმუშევრი იყო ვესტინგჰორის, პა-
კისტენის, ბანგლადეშისა და კარიბის აუზის ქვეყნებიდან მო-
სულ იმიგრანტთა 16-25%. მათ შორის მეტწილად უმუშევრებია
იყვნენ ახალგაზრდები (20—44%). მდგომარეობა ანალოგიურია
საფრანგეთშიც. აქ უცხოელ მუშებს წარმოების შეკვეცისას პირ-
ველ რიგში ითხოვენ, ხოლო საჭიროებისას — დებულობენ კუ-
ლაზე ბოლოს (გარდა მძიმე, კუჭყიანი სამუშაოებისა).

* * *

სსრპ ტერიტორიის სხვადასხვა რაიონში, მოსახლეობის
არათანაბარზომიერი გაადგილება, რაც უმთავრესად ეკო-
ლოგიური ფაქტორებით აიხსნება, ქმნის შრომითი რესურსე-
ბის, თავისებურ პრობლემას. სხვადასხვაგვარი კლიმატური
ზონა წარმოადგენს ადამიანის ცხოველმყოფელობისა და მე-
ურნეობრიობისათვის მეტ-ნაკლებად განსხვავებულ პირო-
ბებს. ამიტომაც გეგმაზომიერად ტარდება ახალი ეკონომიკუ-
რი რაიონების შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის პო-
ლიტიკა. ეკოლოგიური და დემოგრაფიული ფაქტორების ურ-
თიერთკავშირის გადაწყვეტის ნიმუშად შეიძლება დავასახე-
ლოთ მოსახლეობის ფორმირების პროცესი ბაშ-ის ზონაში.
შრომითი რესურსების სხვა რაიონებიდან მოზიდვის აუცი-
ლებლობა აყენებს ახალ და ხშირად ექსტრემალურ პირო-
ბებში ცხოვრებისადმი ადამიანის ადაპტაციის პრობლემას,

¹ К. Юнеско, 1985, X, стр. 18.

ეს ითქმის განსაკუთრებით სსრკ ჩრდილოეთისა და აღმოსავა-
ლეთის რაიონებშე!

სსრკ მიგრაცია უმთავრესად განისაზღვრება პროფესიუ-
ლი გადაადგილებით და გამოწვეულია ახლად ასათვისებელ
რაიონებში ადგილობრივი მოსახლეობის სიმცირითა და, მა-
შასადამე, შრომითი რესურსების მიზიდვის აუცილებლო-
ბით...

მაინც, მიგრაცია საზოგადოდ უფრო ინტენსიურია მოსახ-
ლეობის სოფლებიდან ქალაქებში გადაადგილების შედეგად.
ასე რომ, სოფლის მოსახლეობის 1 000 კაციდან გამოდის 64
მიგრანტი, ხოლო ქალაქისა — 52. ამგვარად, სოფლის მოსახ-
ლეობა უფრო მობილურად გამოიყურება². ახლა აქ საჭიროა,
ისიც ითქვას, რომ თანამედროვე მსოფლიოს ქალაქებში მო-
სახლეობის ზრდა დაახლოებით ორჯერ უფრო მეტია, ვინემ
მთელ პლანეტაზე საერთოდ.

მიგრაცია როგორც დემოგრაფიული და სახელმწიფოებ-
რივ-პოლიტიკური მოვლენა, ცალკეული ხალხების ცხოვრე-
ბის წესის სპეციფიკური ხასიათითაც აიხსნება. ამ მხრივ აღ-
სანიშნავია ის მნიშვნელოვანი როლი, რასაც, მაგალითად,
რუსეთის ისტორიაში ასრულებდა მიგრაცია-კოლონიზაცია.
რუსეთის ისტორიის საყოველთაოდ აღიარებული მქელევარი
პროფ. ვ. კლიუჩევსკი წერდა, რომ რუსეთის მთელი ისტო-
რია ესაა მიგრირებადი ქვეყნის ისტორია და რომ ქვეყნის
კოლონიზაცია რუსეთის ისტორიის ძირითადი გაკვეთილია,
ხოლო რუსეთის ისტორიის პერიოდები — კოლონიზაციის
მთავარი მომენტებია³... მართალია, ისეთი დასკვნები კრი-

¹ В. Казначеев, Современные аспекты адаптации, 1980, Но-
восибирск.

² Население СССР, стр. 10; Н. Уллас, Урбанизация и проб-
лемы развития крупных городов, 1879, М.; Л. Корель, Переме-
щение населения между городом и селом..., 1982; Миграция сель-
ского населения, 1979, М.

³ «Вся история России есть история страны, которая колонизи-
руется»; «Колонизация страны — основной урок русской истории»;
«Периоды русской истории — главные моменты колонизации» —
(В. Ключевский, Курс русской истории, См. Сочинения, т. I,
1956, М., стр. 30—31).

ტიკულ შეფასებას მოთხოვს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ავ
მაინც მართებულიდაა მინიშნებული მიგრაციის დიდ რაოდინია
ზე!

ცნობილია, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი.
ლენინი რუსეთის კოლონიზაციას, კერძოდ მიწათმოქმედი
გლეხობის დიფერენციაციის პროცესში. იგი წერდა: „გადა-
სახლება აძლიერებს გლეხობის დაშლას გასვლის ადგილებზე
და მას დაშლის ელემენტები შეაქვს ჩასახლების ადგილებში“.²
აღსანიშნავია, რომ ვ. ი. ლენინი კოლონიზაციის საყითხს
იხილავდა აგრარული პრობლემების ფარგლებში³, რაც იმით
აიხსნება, რომ მაშინდელ რუსეთში აგრარული საყითხის გარ-
შემო ტრიალებდა მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება.

საერთოდ გლეხები მიღიოდნენ იმ რაიონებში, სადაც მე-
ტი იყო მიწა (ხოლო ცარიზმი განაპირა ქვეყნებში ხელოვნუ-
რად, ადგილობრივ მჯვიდრთა შევიწროების გზით, ანდა პირ-
დაპირ გასახლებით, ქმნიდა „ზედმეტ მიწებს“); მუშები კი
მიღიოდნენ იქ, სადაც მეტი იყო ხელფასი.

* * *

ამასთანავე ისტორიულად კერძოდ საქართველოს ერთ-
ერთი სპეციფიკურობა ისაა, რომ იგი მრავალწლიან ნარგავ-
თა და ქვის არქიტექტურის ქვეყანაა, რომელიც არსებითად
არ ფლობდა საკოლონიზაციო განაპირა ტერიტორიებს და
სწორედ ამიტომ აქ შედარებით მცირე ზომით შეეძლო გან-
ვითარება (უფრო მთასა და ბაზს შორის) კოლონიზაციას
(მიგრაციას)⁴.

საქმე ისაა, რომ მრავალწლიან ნარგავთა კლასიკურ ქვი-
ყანაში მოსახლეობა მიწაზე მიმაგრებული იყო არა მხოლოდ
საქართველოში, არამედ ხშირად უფრო მეტად ფა-

¹ А. Кауфман. Переселение и колонизация. 1905. СПб;
И. Ямзин..., Учение о колонизации и переселениях. 1926. М.-Л.;
Л. Рыбаковский, Региональный анализ Миграции. 1978. М.

² В. И. Ленин, ПСС, т. 3, стр. 175.

³ В. И. Ленин, ПСС, т. 17, стр. 70.

⁴ 3. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ცკოხმიკური
განვითარება XIX-XX სს., ტ. I, გვ. 355-748.

სეული მევენახეობა-მენილეობით, რაც განსხვავებით ყოველ-
გვარი მარცვლეულისა და მემცენარეობის სხვა ერთწლიანი
ციკლის კულტურებისაგან, ნერგის ჩაყრიდან, მხოლოდ 3-4
წლის შემდეგ იძლევა მოსავალს და, შემდეგ, სრულმსხმოა-
რობაში შესული, პრაქტიკულად შრომისა და შემოსავლის
(არსებობის) არსებითად მარადაღწარმოებადი ფაქტორი ხდე-
ბა, რომლის მიტოვება პატრონს მხოლოდ მძიმე ძალატანე-
ბისას თუ შეეძლო, რამდენადაც მას უნდა დაეტოვებია არა
მხოლოდ მიწა (და ისიც რა მიწა), არამედ დიდი ხნის საკუ-
თარი, და თვით მამა-პაპათა, განივთებული შრომა, ნაშრომ-
ნალვაწი, ვენახად, ხილნარად, ბალნარად ქცეული მამული
(საქართველოს ზოგიერთ რაიონში ვენახს, ვაზის პლანტაციას,
მამულსაც უწოდებენ), სიმღიდრე, რომელიც თითქოს თვით
მისი ოჯახის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა (ცნობი-
ლია, რომ შიმშილობის დროს გლეხები, გაზაფხულში ვაზის
ლერწებსა სწოვდნენ, რათა ამით თავი გადაერჩინათ)!.

ამ ასპექტში საჭირო ისიც ვიცოდეთ, რომ საკუთრიად თა-
ვისი სახელმწიფოებრივი ტერიტორიის ფარგლებში კონცენ-
ტრაციის ხარისხის მიხედვით ქართველ ხალხს პირველი ად-
გილი უჭირავს საბჭოთა კავშირში გაერთიანებულ ნაციებს
შორის, რომელთაც საკუთარი სახელმწიფოებრივობა მოე-
პოვებათ.

ასე, მაგალითად, 1979 წ. მოსახლეობის აღწერის მონაცე-
მებით², რსფსრ-ში ცხოვრობს სსრკ ტერიტორიაზე აღრიც-
ხული რუსთა საერთო რაოდენობის (137,4 მლნ) — 82,6%; შე-
საბამისად, უკრაინის სსრ-ში ცხოვრობს უკრაინელთა საერ-
თო რაოდენობის (42,3 მლნ) — 86,2%; სომხეთის სსრ-ში სო-
მეხთა საერთო რაოდენობის (4,2 მლნ) — 65,6%; აზერბაიჯან-
ში — აზერბაიჯანელთა (5,5 მლნ) — 86,0%; ესტონეთში —
ესტონელთა (1,0 მლნ) — 92,9%; თურქენეთში — თურქენ-
თა (2,0 მლნ) — 93,3; ლიტვაში — ლიტველთა (2,9 მლნ). —

¹ П. Гугушвили, Сельское хозяйство и аграрные отношения, 1955, т. IV, стр. 680.

² «Вестник статистики», 1980, № 11, стр. 65—67.

95,1%¹, რომლებიც ამ მხრივ ყველაზე უფრო უახლოვდებიან ქართველთა კონცენტრაციის მაჩვენებელს, რაც შეადგენს საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ქართველთა საერთო რაოდენობის (3,6 მლნ) — 96,1%².

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ხალხს ამ მხრივ ურთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს საერთოდ პლანეტის ცივილიზაციულ ერებს შორის, ხოლო ეს ვითარება უმთავრესად შეიძლება იმით აიხსნას, რომ 1) ქართველები წარმოადგენენ მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს მიწათმოქმედ ხალხს; 2) საქართველო კი — მრავალწლიან ნარგავთა კლასიურ ქვეყანას; ხოლო 3) თვით ეს ქვეყანა — გეოგრაფიულად „შემოზღუდულ“ და, რამდენიმე მხრით მაინც, — თითქოს ციხესავით გამაგრებულ ტერიტორიულ ორგანიზაციალურაა წარმოქმნილი; 4) რასაც საუკუნეების მანძილზე დაუნდობელ, ველურ, მრავალრიცხოვან, მუხანათ მტერთაგან გაუთავებელ ნგრევა-აწიოკების, ცეცხლითა და მახვილით დალაშქრის, ძარცვისა და წარტყვენის შემდეგ ყოველთვის თანმიმდევრულად აღადგენდა, აშენებდა, თავისი ნაციონალური ორგანიზმის საოცარი ენერგიისა და სიმტკიცის ძალით აღუდაბებდა და ამაღლებდა ხოლმე ქართველი ხალხი.

ამას ისიც უნდა დავსძინო, რომ მრავალწლიან ნარგავებს, მარცვლეულისაგან განსხვავებით, თითქმის მთელი წლის განმავლობაში სჭირდება მოვლა-პატრონობა, ე. ი. მუშახელი. ამასთან ეს საქმე სამუშაოთა დიდ ნაწილში მექანიზაციის პროცესს დღემდე ძნელად ანდა ნაკლებად ექვემდებარება და, ამგვარად, ძირითადად ხელის შრომად რჩება. ამ მოვლენათა შესწავლის საფუძველზე ჯერ კიდევ 45 წლის წინათ დაწერილ ერთ მონოგრაფიაში (ამიერკავკასიის კოლონიზა-

1 ესტონელი, თურქეთი და ლიბერია მოსახლეობის მაღალი კონცენტრაცია ისტორიულად მათი ტერიტორიული ორგანიზაციის შედარებით ახალი მოვლენაა.

2 3. გუგუშვილი, ქართველური მოსახლეობის კონცენტრაციის შესახებ (ჟურნ. „ეკონომისტი“, 1985, № 6, გვ. 80-83); მისივე, გან. „სამშობლო“, 1983, № 7.

ციის შესახებ) დადგენილი მაქვს, რომ ქართველი ხალხი ნაკლებად მიგრირებად ნაციათა ჭავუს მიეცუთვნება¹.

ცნობილია, რომ დიდებულ ილია ჭავჭავაძეს ვენახის ისტორია ქართველი გლეხის ოჯახის ისტორიის განუყოფელ ნაწილად მიაჩნდა, ხოლო ივანე ჭავახიშვილი მევენახეობას საქართველოს ეკონომიკური კეთილდღეობის ერთ-ერთ უკლაშე ძირითად წყაროდ მიიჩნევდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ გამძვინვარებული დამპურობელი არა მარტო ციხე-კოშკებს, კარ-მიდამოსა და ეკლესია-მონასტრებს, არამედ მრავალწლიან ნარგავებსაც ანადგურებდა, რათა მეურნეობრივად და მორალურად გაეტეხა ქართველი ხალხის მედგარი წინააღმდეგობა და მთლიანობა².

მაინც რევოლუციამდელ საქართველოში, დასამუშავებელი მიწის სიმცირისა და მრეწველობის განუვითარებლობის, ცარიზმის დიდმპურობელური კოლონიზაციური პოლიტიკისა და სხვათა პირობებში³, ადგილობრივი გლეხობის ნაწილი იძულებული იყო, დაეტოვებინა მამა-პაპათა საცხოვრისი აღგილები და სამუდამოდ წასულიყო, მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა რაიონში, საღაც მათი ნაშიერნი დღესაც ცხოვრობენ⁴.

* * *

სსრტ 1970-იანი წლებიდან მოყოლებული ბერი რამ გაკეთდა შრომითი რესურსების ტერიტორიული გადანაწილების, ე. ი. მოსახლეობის მეცნიერულად დასაბუთებული მიგრაციის პროგნოზირების საქმეში. ამ ვარაუდებით, დაახლოებით ერთგვარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საბჭოთა რესპუბლიკებიდან, იქ, საღაც არ გაიზრდება, ანდა უმნიშვნელო ზომით იმატებს შრომაუნარიანი მოსახლეობა,

¹ 3. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., 1949, თბ., ტ. I, გვ. 451-456, 648-726.

² ივ. ჭავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ტ. I და II.

³ П. Гугушвили, Вопросы формирования семьи в аспекте воспроизводства населения, II изд., 1978, Тб.

⁴ 3. გუგუშვილი, სოციოლოგიური ეტიუდები; ტ. II, გვ. 322-326.

როგორც წესი, არ ექნებათ ანდა მცირე ზომით ექნებათ და
დებითი მიგრაციული სალდო.

ხოლო ის რესპუბლიკები, სადაც დიდი მატებაა შრომა-
უნარიანი მოსახლეობისა, რომელსაც, ამასთანავე, მოეპოვე-
ბა შრომის მნიშვნელოვანი შინაგანი რეზერვები, არ საჭირო-
ებენ შრომაუნარიანი მოსახლეობის გადიდებას რესპუბლიკა-
თაშორისი გაცვლის გზით, ე. ი. მათი მიგრაციული სალდო
(გარდა იშვიათი გამონაკლისისა) უარყოფითი იქნება. მაგალი-
თად, შუა-აზიის საბჭოთა რესპუბლიკებში, თუკი 1986-1990
წლებში შრომაუნარიანი მოსახლეობა მეტი იქნება, ვიდრე
წინა ხუთწლედში, ცხადია, ამ მოსახლეობის მიგრაციული აქ-
ტივობაც გაიზრდება და ა. შ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირის აღმო-
სავლეთისა და რიგ სხვა რეგიონში გაჩაღებული ინდუსტრი-
ული და სხვა საწარმოთა ღიძი მშენებლობის პირობებში;
ფრიად გაიზარდა მოთხოვნა მუშახელზე, რისი მეოხებითაც
უკანასკნელ პერიოდში საქართველოდანაც წავიდა საქაო რა-
ოდენობის მუშახელი, მათ შორის შესამჩნევი ზომით — არა-
ქართველური წარმომავლობის მოსახლეობიდან. ამ პროცეს-
მა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს სსრ მო-
სახლეობის ნაციონალურ შედგენილობაზე; რაც ნაჩვენები
მაქვს უკვე გამოქვეყნებულ ნაშრომში¹.

მიგრაცია საზოგადოდ შრომითი რესურსების მობილიზა-
ციის, მუშაძალის აღწარმოების ხარჯების შემცირების, მუშა-
ხელის კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვა თვალსაზრისით,
შეიძლება იყოს პროგრესული მოვლენა და ხელს უწყობდეს
მოსახლეობის კულტურულ-ეკონომიკური დონის ამაღლება-
საც²...

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ასეთი

1 სკკპ XXV ყრილობის მასალები, 1976, თბ.

2 3. გუგუშვილი, საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები, 1973, თბ.

3 Э. Плетнёв, Международная миграция рабочей силы..., 1962, М.; В. Переведенцев, Методы изучения миграции населения, 1985, М.

კოლიტიკა გულისხმობს წარმოების აღწარმოებად საშუალებათა შათა შრომით რესურსებთან დაახლოებას... თუმცა, მართალია, ასეთი კურსის გატარება შეუძლებელია არააღწარმოებადი რესურსების მიმართ, როგორიცაა, მაგალითად, წიაღისეული სიმდიდრეები (ნავთობი, ქვანახშირი, მანგანუმი და სხვ.).

საბჭოთა კავშირში უკანასკნელ ხანებში მოსახლეობის მიგრაციამ ფართო ხასიათი მიიღო. იგი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის, ქვეყნის შემდგომი ინდუსტრიული და კულტურულ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი და, ამდენადვე, პროგრესული მოვლენა გახდა; მით უმეტეს, რომ იგი ყოველ რეგიონში გულისხმობს საშუალო ზომის ქალაქების უფრო აქტიურ განვითარებას, ახალი რეგიონული ცენტრების ფორმირებას და მათს შედარებით თანაბარზომიერ ტერიტორიულ გააღვილებას, რასაც მივყავართ ურბანიზაციის დონის გამოთანაბრების, მიგრაციული პროცესების ოპტიმიზაციის, ქალაქური ცხოვრების წესის სოფლებში შეღწევისა და, მაშასადამე, ქალაქისა და სოფლის სოციალურ-ეკონომიკური დონის (როგორც ცენტრში, ისე პერიფერიებში) ურთიერთდაახლოებისაკენ, რაც აისახა კიდევაც პარტიის წინასაყრილობო დოკუმენტებში.

ასეთ ვითარებაში ბუნებრივია, რომ გაძლიერდა მიგრაციის ისტორიული, თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესწავლა¹... სწორედ ამ მიზანს ემსახურება „პრავდის“ 1981 წლის 11 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული პროცესი. რიბაჟოვსკის სტატიაც, რომელშიც რიგი ფასეული მოსახლეებია წამოყენებული. ამასთანავე, ავტორი ძლიერ შეშფოთებულია ზოგიერთ რეგიონში მოსახლეობის „უძრაობით“ და მას სისხლხორცეულ პრობლემად მიაჩნია ასეთი რაიო-

¹ А. Топилин, Территориальное перераспределение трудовых ресурсов в СССР, 1975, М.; Социальные факторы и особенности миграции населения СССР, 1978, М.; Статистика миграции населения, 1979, М. (сб. ст.); В. Монсеенко, Территориальное движение населения, 1985, М.



ნების მკვიდრი (აბორიგენი) მოსახლეობის მიგრაციის ინტენსიურობის გაძლიერება, მით უფრო, რომ შეა აზისა და ამიერკავკასიის სოფლის მკვიდრი მოსახლეობის მიგრაციული მობილურობა უფრო დაბალია, ვინემ რუსეთის, უკრაინისა და სხვ. სოფლის მოსახლეობისათ.

ამასთან დაკავშირებით, მისი აზრით, საჭიროა ადგილობრივ ახალგაზრდობას „შევუქმნათ პირობები, უკეთ შეითვისოს რუსული ენა, აქტიური ზეგაელენა მოვახდინოთ მკვიდრი მოსახლეობის ცხოვრების წესზე, რათა დავეხმაროთ ადამიანებს, თავი დააღწიონ ნეგატიურ მოვლენებსა და დაგველებულ ჩვეულებებს“... და, ბოლოს: „შეიძლება მომზადეს თავისი რესპუბლიკის ჩვეულებრივი „ზღურბლიდან“ მკვიდრ მცხოვრებთა გამოსვლა“, რაც სტატიის ავტორის აზრით, ხელს შეუწყობს მთელს ქვეყანაში შრომითი რესურსების უკეთ გამოყენებას და ა. შ.

მაგრამ ჩვენი პროფესორი, სამწუხაროდ, მხედველობიდან უშვებს თვით ამ ადამიანთა ინტურესებს, რამდენადაც სრულებით არ ითვალისწინებს სამხრეთის ბუნებრივ-კლიმატურ ადგილებში გაზრდილი ადამიანისათვის ჩრდილოეთის მკაცრი პირობების მიმართ ძნელად შეგუებას, სადაც, მაგალითად, ქართველის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, მიახლოებითი ვარაუდით, 7-8 წლით უფრო ნაკლებია, ვინემ მის სამშობლოში.

უნდა დაესძინოთ, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში მოსახლეობის მიგრაციის პრობლემის შესწავლისას პირველის საკადან უნდა მივიჩნიოთ ახალ განსხვავებულ ბუნებრივ გარემოსთან ადამიანის ადაპტაციის მომენტი¹. სო-

¹ «...Можно подготовить выход коренных жителей «за привычный порог» своей республики». (Газ. «Правда», 1981, IX, II).

² სსრ კავშირის სხვადასხვა რაიონში ბუნებრივი პირობების შრომისა და უოფიქრების (ცხოვრების) მკვეთრად განსხვავებული კითხების შესაბამისად დემოგრაფიული პროცესებისადმი დიფერენცირებული მიღებობა უკვე გარეუვებითა მინიშნებული სკოლა კუ-ისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „შეიძლებანი თანხმისათვის სახელმწიფოებრივი დამმორების გაძლიერების ზომების შესახებ“ — «Правда», 1981, 3. 31, სადაც აღნიშნულია, რომ 1981 წლიდან დაწყებული ტარგ-

ციალიზმი და კომუნიზმი უწინარეს ყოვლისა აღამიანებით სათვის შენდება და არა მარტო დფენ მრეწველობის თუ სოფლის მეურნეობის რომელიმე დარგის ამა თუ იმ ორიონში განვითარებისათვის.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ავტორის სტატიაში ამიერკავკასიის ეკონომიკური რაიონი დემოგრაფიულ ასპექტზეც განიხილება, როგორც ერთგვაროვანი რესპუბლიკების ერთობლიობა, მაშინ როდესაც აზერბაიჯანელთა და სომეხთა ბუნებრივი გამრავლების ტემპი 2-3-ჯერ აღემატება ქართველებისას, რაც უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ასეთ სურათს იძლევა: სსრ კავშირში 1926 წელს ქართველები აღემატებოდნენ: სომხებს — 253 ათასით და აზერბაიჯანელებს — 108 ათასით; ხოლო 1979 წელს, ე. ი. სულ რაღაც ნახევარი საუკუნის შემდეგ, ქართველებზე მეტი იყვნენ: სომხები 621 ათასით, ხოლო აზერბაიჯანელები 1946 ათასით. ამჟამად, 1979 წ., აზერბაიჯანელთა რაოდენობა შეადგენს 5 477 ათასს, სომხებისა — 4 151 ათასს, ხოლო ქართველებისა 3 531 ათასს. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

და კიდევ შედარებისათვის ძნელად შეიძლება საინტერესო არ იყოს, რომ სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის ასპექტში „სოფლის სოციალურ-დემოგრაფიული განვითარების“ შესწავლის საფუძველზე მიღებული დასკვნებით ისეთ რეგიონებში, როგორიცაა შუაზია, ყაზახეთის სსრ, ჩიმკენთის ოლქი, კავკასია, მოლდავეთი, იმიერკარპატები სადაც ხარობს ბამბა, ჩაი, ბრინჯი, ციტრუსები, ყურძენი, ატამი და სამხრეთის სხვა პროდუქტები, მოსაელის აღბის შემდეგ მუშახელი „თითქმის უქმადაა“ („З/С“, 1984, № 2, გვ. 8), ხოლო „სოფლისმეურნეობრივი შრომის მწარმებლურობა — ყველაზე დაბალია... და, მიუხედავად ამისა,

ბა შვილებიანი დედებისათვის ხელფასიანი შეებულების სხვადასხვა განაკვეთით ანაზღაურება: შორეულ ომოსავლეთში, ციმბირსა და ჩრდილოეთ რაიონებში 50 მან., ხოლო დანარჩენ რაიონებში — 35 მან. ი. ა. აგრეთვე Миграционная подвижность населения в СССР, 1979, М.; Б. Хорев, В. Монсеенко, Сдвиги в размещении населения СССР, 1979, М.

ისინი ქვეყნის სხვა ადგილებზე წარმოებული სურსათის ერთ ერთი ყველაზე უდიდესი მომხმარებლებია, ხოლო პირადი დამხმარე მეურნეობა მათ საკმაოდ სუსტად იქვთ განვითარებული“...

აქ, როგორც ეს სპეციალისტები ირწმუნებიან, მთავარი პრობლემაა „მოხახლეობის გამრავლების უაღრესად მაღალი ტემპი“¹ და წარმოების სფეროს შენელებული განვითარება; ამასთანავე, უმთავრესად არაკვალიფიციური სამუშაო ადგილების სიჭარბე... ხოლო რამდენადაც „სოფლებში შობადობა არ ეცემა, პრობლემა არ შეიძლება „თავისთავად გადაწყდეს“.

და, ბოლოს, ასეთ ვითარებაში ბუნებრივია: დემოგრაფიული მიაჩინიათ, რომ: 1. აქ ოჯახს აუცილებლად უნდა ჰყავდეს არა-უმეტეს 2-3 შვილისა; 2. ეკონომისტები იმ აზრისა არიან, რომ ამ ტიპის რეგიონებს სავსებით შეეძლებათ თავიანთი თავი თვითონ გამოიქვებონ, თუკი განავითარებენ სოფლის მეურნეობას, და გააფართოებენ თავიანთი უნიკალური პროდუქციის გატანას, ხოლო 3. სოციოლოგები ამტკიცებენ, რომ სხვადასხვა ტიპის კულტურასთან ფართო კონტაქტები დააჩქარებდა და გააადვილებდა აქაური ახალგაზრდობის გადასვლას იმ ადგილებში, „სადაც მათი თავები და ხელები უფრო საჭიროა“.

მართალია, ყოველმხრივ არა, მაგრამ, როგორც დაკვირვებული მკითხველი დაინახავს, ამ მასალას გარკვეული თვალსაზრისით ამაგრებს ზემოთ მოყვანილიც...

რა თქმა უნდა, კარგია რაც უფრო მეტი პიროვნება მიიღებს მონაწილეობას დემოგრაფიული საკითხების განხილვაში, მაგრამ საკითხის შესწავლა მაინც მეცნიერების საქმეა, დემოგრაფია კი სწორედ მეცნიერებაა და მარტომდენ „კო-თილი ნებით“ აღჭურვილ ადამიანთა სურვილები შეიძლება ხალხის საზიანოც აღოჩნდეს...

¹ «Чрезвычайно высокий темп демографического роста». (см. журн. «Знание — сила», 1982, № 2, стр. 8).

ყოველივე აქედან, ვფიქრობ, ის აზრი გამომდინარეობს, რომ შინაგანი განვითარების განსხვავებული გზებით დღემდე მოსული ერების მომავალი განვითარების ერთბაშად ყოველმხრივ ერთნაირ კალაპოტში მოქცევა არც აუცილებელია და არც გამართლებული.

როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინი არაერთგზის მიუთითებდა სოციალისტური მშენებლობის პროცესში ადგილობრივ, ნაციონალურ, თავისებურებათა და ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობის შესახებ, რასაც, რატომლაც, ზოგიერთები, უგულებელყოფენ ხოლმე.

სოციალისტური, და თვით კომუნისტური საზოგადოება, ცხადია, შეიძლება ისე აშენდეს, რომ ამიერკავკასიის და კერძოდ საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა არსებითად მთლიანად დარჩეს საუკუნეობრივად, მთელი მისი ცხოვრების ისტორიის მანძილზე ათვისებული და გათავისებული ტერიტორიის წიაღში, რომელსაც იგი (როგორც რუსი და სხვა ცივილიზებული ერებიც) თავისი სამშობლო-საცხოვრისის საკუთარი სახელწოდებითაც („ქართული მიწა“) — იხსენებდა და იხსენებს ახლაც.

სოციალისტური საზოგადოების მთელი განვითარების განვლილი გზები ნათლად მოწმობს, რომ ამ განვითარების პროცესში კერძოდ, საქართველოს მოსახლეობის უკვე წარმოქმნილი მობილურობის არსებული დონე და, მაშასადამე, მიგრაციაც თავისი ახლანდელი ინტენსივობით და ფორმებით სავსებით ნორმალური და კანონზომიერი პროცესია. ხოლო მოსახლეობის ის გამოხმაურება, რაც ხსენებულმა სტატიამ გამოიწვია, იმას მოწმობს, რომ მისი პატივცემული ავტორის პროფ. ლ. რიბაკოვსკის რეკომენდაციები საკითხის ლრმა ცოდნიდან სულაც არ გამომდინარეობენ.

სსრ კავშირის მოსახლეობის მიგრაცია უმთავრესად გულისხმობს ადამიანთა გადაადგილებას თვით ქვეყნის საზღვრებში¹, განსაკუთრებით ისეთ რაიონებში, სადაც საგრძნო-

¹ BC, 1984, № 6, стр. 59.

ბია მუშახელის ნაკლებობა. ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვა მათ ვე პროფესორების ვ. ვორონოვისა და ი. სმირნოვის სტატია. ისინი აცხადებენ, რომ ბა მ-ის ზონაში უმთავრესად მიღიან ახალგაზრდები რუსეთის, უკრაინის და შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკებიდან; ხოლო „დაბალია ხვედრითი წონა ჩრდილო კავკასიის, ამიერკავკასიის და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მკვიდრი მოსახლეობისა“.

მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ავტორები მხედველობიდან უშვებენ დასახელებულ რესპუბლიკებში არსებულ დემოგრაფიულ სიტუაციას, რომ, კერძოდ, ბალტიისპირა რესპუბლიკებში და საქართველოში, შუა აზიის რესპუბლიკებთან შედარებით, მოსახლეობის ბუნებრივი აღწარმოების ტემპი ბევრად უფრო დაბალია და რომ, მაგალითად, საქართველოს ზოგიერთ, კერძოდ მთიან რაიონებში, კარგა ხანია, დაიწყო დეპოპულაციის პროცესი, რასაც ცხადყოფს თუნდაც შემდეგი მონაცემები:

მოსახლეობის რიცვი უდრიდა (ათასობით) ამბროლაურის რაიონში 1939 წელს 38,2-ს, ხოლო 1981 წ. — 19,9-ს; აღიგენის რაიონში 1939 წ. — 41,3-ს, ხოლო 1981 წ. — 20,4-ს; ასპინძის რაიონში 1939 წ. — 32,6-ს; ხოლო 1981 წ. — 12,0-ს; ონის რაიონში 1939 წ. — 28,7-ს, ხოლო 1981 წ. 14,9-ს; ყაზბეგის რაიონში 1939 წ. — 10,2-ს, ხოლო 1981 წ. — 6,5-ს და სხვ... ზოგიერთ სოფელში — კი, საღაც წინათ 100-200 კომლი ცხოვრობდა, დღეისათვის ათიოდე კომლიც აღარ დარჩენილა. არიან ისეთებიც, საღაც კარგა ხნის წინად ჩაქრა უკანასკნელი კერა...

და ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელობას, საერთოდ ქვეყნის მოწინავე ძალებს, გაჭიანურებული და ენერგიული ზრუნვა უხდებათ, რათა იღადგინონ და გამოაცოცხლონ ხსენებულ რაიონებში დღეისათვის გავერანებული, უკაცრიელი ადგილები, საღაც წინათ სისხლსავსე ცხოვრება ჩქეფდა და საღაც ახლა მოსახლეობის მოზიდვა პრაქტიკულად შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს სხვა (უპირატესად ბარის) რაიონებიდან.

დემოგრაფიული დაბერება — მოსახლეობის საერთო რაოდენობაში დაბერებულ აღამიანთა ხვედრიწილის გადიდება — ბავშვთა რაოდენობის (შობადობის ინტენსივობის დონის) თანდათანობითი შემცირებისა („დაბერება ქვემოდან“) და რამდენადმე კიდევ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის (— 65 წელზე უფროს აღამიანთა ხვედრიწილის) გადიდების („დაბერება ზემოდან“) შედეგად იწყება.

მოსახლეობის დაბერების საზომად მიჩნეულია დაბერებულთა რიცხვის შეფარდება მოზრდილთა (მოწიფეულთა) 100 კაცზე. ამ თვალსაზრისით დემოგრაფიული სიბერე უკვე იწყება, როდესაც 60 წლისაზე მეტი ხნის აღამიანთა რიცხვი აღემატება მთელი მოსახლეობის 12 პროცენტს.

იმ გარემოებამ, რომ სხვადასხვა აღამიანი ცხოვრების ციკლის სხვადასხვა ფაზას სხვადასხვა სისწრაფით გადის, ადრევე გამოიწვია იმის შეცნობა, რომ აუცილებელი იყო აღამიანის ინდივიდუმის ბიოლოგიური ასაკისა და ქრონოლოგიური ასაკის შეფასებისათვის სხვადასხვა კრიტერიუმის შემუშავება... სხვადასხვა აღამიანის ორგანიზმის „გაცვეთა“ და მაშაბადამე, მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა სხვადასხვა ტემპითა და დროით გაიზომება... გეოგრაფიული, რასობრივი, ნაციონალური, რელიგიური, სოციალურ-ეკონომიკური საწყისებიდან წარმომდგარი ყოფა-ცხოვრების წესების, შრომის პირობების, კვებისა და სხვა ხასიათის განსხვავებები იწვევს აღამი-

¹ ეთნოკულტურულ პროცესთა შესახებ საბჭოურ-აშერიყული სიმპოზიუმი, რომელიც 1985 წლის ივნისს შედგა (კიევში), მთელი რიცხვის აპეციალური მონსენების მოსმენის შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ: „ნაციონალური ფაქტორის მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოში არ მცირდება; არცუ იშვიათად ეთნიკურ კონფლიქტებს როგორლაც უკანა პლანზე გადაჰყავთ კლასობრივი წინააღმდეგობებიც კი“ (Л. Дробижевский, Советско-Американский симпозиум по этическим проблемам. (Вестник АН СССР, 1985, № 12, с 69—73).

ანის სხვადასხვა დროზე დაბერებას! ეს პროცესები როგორც
ექიმისა და ფსიქოლოგისათვის, ისე ეკონომისტის, სოციო-
ლოგისა, დემოგრაფისათვის შეიძლება წარმოადგენდეს შეს-
წავლის საგანს, — როგორც ამას სწერს პარიზის გერონტო-
ლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. ფ. ბურლიერი
(F. Bourliere)².

ძველი დროიდან მოყოლებული, სხვადასხვა ეპოქაში ადა-
მიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, როგორც ცნობილია, იუ-
ვლებოდა და ცივილიზაციის, კერძოდ ჯანმრთელობის დაც-
ვის, მედიცინის განვითარების შესაბამისად თანდათანობით
იზრდებოდა. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ეს ზრდა,
მიაჩინათ რომ უმთავრესად ინფექციურ დაავალებათა (ეპი-
დემიების) და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების შედე-
გია³.

¹ Л. Леви, Л. Андерсон, Народонаселение, окружающая среда и качество жизни, пер. с анг., 1979, М.

² Ф. Бурльєр, Определение биологического возраста человека, пер. с анг., 1971, Женева.

3 პროფ. ა. უირარიკი მონაცემებით საფრანგეთში უკანასკნელ 200 წელიწადში 60-წლიანთა რაოდენობა 5-ჯერ გაიზარდა, ხოლო 80 და მეტ-
წლიანთა რაოდენობა 13-14-ჯერ. როგორც ჩანს, უფროსასაუკუნეთა რა-
ცხეის ზრდა გარდაუალია, მაგრამ, სერტოდ, საზოგადოებრივი „შრომის
მწარმოებლურობის ერთდროული ზრდის კითარებაში იგი ბორიტებას
არ წარმოადგენს“... მთხველეობის კუმრავლებასა და ასაკობრივ სტრეტ-
ტურაში მომხდარ ცვლილებებსა და ურბანიზაციას შედევად მოჰკევა
მნიშვნელოვანი ძერები. არახელულებრივად განვითარდა ინდივიდუალიზა-
ში, როგორც დემოგრაფიულ რეკოლუციასთან და სიკედლისადმი ში-
შის უკანდაბეჭდებით წილნაყარი ვითარება. გამრავლება მომახდევობა,
რომელიც სულ უფრო მსხვილ ქალაქებში ცხოვრობს. სადაც ინდივი-
დებს ანონიმურობის იუდანები კონტაქტები იქვთ აღმიაშებთან, რომ-
ლებთანც მხოლოდა უცნებისური (სამსახურებრივი, ასამიშუბობრივი)
ურთიერთობა აკავშირებს, რის გამოც ისინი განიცდიან ლიმა მარტო-
ბის გრძნობას... მათთვის თავმესაცარი ხდება თხახი, მოთაცი ქრონიკება
და ინტერიერები... და რასაც ხანდაზმული კუნძულები, ისინი ეძებენ ბავშვებთან ურთიერთობაში... სიცოცხლის ხანგრძლივობა:
გრძელდება და შეიცემი, მიუცედავად იშიხა, რომ ცაცი მიაღწიეს და-
მოუკიდებლობას, არ ქრებიან მამის არახის მორიშინტიფან... შეიძლება
და შეიღები მცირებოდებოდა კუნძულები რჩებიან, ზოგჯერავად იშიხა, რომ კა-
ცალკე ცხოვრობენ... თუმცა ეს არცთუ იმდენადაც ხელველობა მოვალე-
ნა.

შესაბამისი სპეციალობის მეცნიერთა დაკვირვებით საერთაშორისო ჰამონდის — homo Sapiens — სახეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა ზოგად ფარგლებში 90 წლით ისაზღვრება. თუმცა არის უფრო დღეგრძელი სიცოცხლის მრავალი შემთხვევაც და უკანასკნელ ხანებში ამ მხრივ ხშირად 100 წელიწადს ასახელებენ¹.

არაა სწორი შეხედულება, თითქოს ხანდაზმულთა წინაპრები და შთამომავლობაც დიდხანს ცოცხლობენ. სტატისტიკა მეტყველებს, რომ ხანდაზმულთა დაახლოებით მხოლოდ 40%-ს ჰყავდა ხანდაზმული მშობლები. უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ: დიდი ხნის სიცოცხლე შეპირობებულია არა მემკვიდრეობითობით, არამედ, უპირატესად, თვითონ ცხოვრების პირობებით.

დღეგრძელთა რაოდენობა მაინც არაა დიდი. იგი სხვადასხვა ქვეყანაში მოსახლეობის 1 მილიონშე დაახლოებით 30-80 კაცს შეადგენს (1970-იანი წლების მონაცემებით). ადამიანის სიცოცხლის „მაქსიმალური ხანგრძლივობა“ 120 წლამდე აღწევს, თუმცა ქვეყნდება ცნობები უფრო ხანგრძლივი სიცოცხლის შემთხვევების შესახებაც.

დემოგრაფები ვარაუდობენ, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მიმდინარე საუკუნის ბოლოსათვის მიაღწევს: ევროპაში — 74,1 წელს, ჩრდილოეთ ამერიკაში — 72,5-ს, ლათინურ ამერიკაში — 70,6-ს, აღმოსავლეთ აზიაში — 71,2-ს, ხამსრ. აზიაში — 61,2-ს, აფრიკაში — 57,4-ს, სსრკ — 73,0 წელს.

ფიქრობენ, რომ ავთვისებიან სიმსიცნეთა, გულ-სისხლ-ძარღვთა სისტემის დავადებათა ლიკვიდაციას შეუძლია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 8-9 წლით გაზარდოს და მით უმეტეს, თუ სიცოცხლის დაბერების (დაშლის) პროცესის საპირისპიროდ განვითარდება ორგანიზმის ცხოველმყოფ-

¹ Н. и Ж., 1985, № 9, стр. 60—65; Ф. Бурльер, 1, сд. Л. Леви, Л. Андерсон, Народонаселение, окружающая среда и качество жизни, пер. с анг., 1979, М.

* * *

მოსახლეობის აღწარმოების ტემპის შენელება, ე. ი. შობადობის შემცირება თანმიმდევრულად აისახება მოსახლეობის ასაკობრივ და, მაშასადამე, შრომითი რესურსების სტრუქტურაში, რაც ვლინდება შრომაუნარიანთა ხევდრიწონის შემცირებასა და ხანდაზმულთა რაოდენობის ზრდაში². ამ პროცესმა სსრკ ზოგიერთ რესპუბლიკასა და რაიონში თავი იჩინა უკვე 1939-1959 წლებში, როდესაც მოსახლეობაში 60 წელს გადაცილებულთა რაოდენობა 6,8-დან 9,4 პროცენტამდე გაიზარდა.

... შემდგომი დროის განმავლობაში მოსახლეობის დაბერების ეს პროგრესი სულ უფრო მასობრივ ხასიათს იღებს და ახალ ეკონომიკურ პრობლემებს ბადებს არათუ დემოგრაფიის, არამედ მთელი სახალხო მეურნეობის ასპექტებში³.

არსებობს მოწიფეულობის ასაკიდან ხანდაზმულობასა და სიბერეში (მოხუცებაში) გარდამავალი საფეხურების სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია. ინგლისელი ექიმი და სტატისტიკის უ. ფარრი მიიჩნევდა, რომ ადამიანის ცხოვრებაში 40-60 წლიწადი — ესაა ინტელექტუალური ასაკი, 60-80 წწ. — დამსახურებათა აღიარების ასაკი, 80-100 წწ. — საპატიო სიბერის ასაკი. ამერიკელი დემოგრაფის კ. ბოუგის შეხედულებით ადრეული სიბერის ასაკს — 65-74 წლებს — წინ უძღვის „საშუალო ხანდაზმულობის ასაკი“ — 45-64 წლები. საბჭოთა გერონტოლოგის ა. ნაგორნის მიხედვით კი სიბერის პერიოდი იწყება 60-70 წლიდან.

¹ ცნობილი ფიზიოლოგი ი. თარხნიშვილი (1846—1908) აღამიანის „ამწლიან სიცოცხლეს“ კულტურისა და მეცნიერების ამოცანად აცხადებდა.

² И. Калинин, Продолжительность жизни и возрастная структура населения СССР. (См. сб. ст. Продолжительность жизни, 1974, М., стр. 60—67).

³ М. Сонин, Использование труда людей пожилого возраста в СССР, стр. 60—67; Пожилые люди в нашей стране, 1977, М.

1962 წელს ლენინგრადში გამართულმა სწავლულთა სიმზაოზიუმმა 60-74 წლის ადამიანები ჩათვალი (მიზნია) — ხან-დაზმულებად, 75-90 წლისანი მოხუცებულებად — დაბერებულებად, ხოლო 90 და უფროსი ასაკისანი — დღეგრძელებად (долгожители), — რაც დაადასტურა „დაბერების ფუნქციური და მორფოლოგიური მაჩვენებლების“ პრობლემისადმი მიძღვნილმა საკავშირო კონფერენციამც (1968 წ.)¹.

საერთოდ 1960-1970-იანი წლების მონაცემთა მიხედვით, მეცნიერთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ადამიანის, როგორც ბიოლოგიური სახეობის, სიცოცხლის ხანგრძლივობაა 100 წელიწადი, რასაც აღწევენ და რამდენადმე აჭარბებენ კიდევაც ფიზიოლოგიურად უნიკალური ადამიანები².

1985 წლისათვის სსრკ 280 მილიონამდე მცხოვრებთა შორის დაახლოებით 3 მილიონი 80 წელზე მეტი, ხოლო 20 ათასი კი — 100 წელზე მეტისა იყო. ამ ასპექტში უპრიანია აქ გავიხსენოთ ჩვენი მხცვანი დიდი მეცნიერი — ჩემი მეგობრები, აკადემიკოსი აკაკი შანიძე (99 წლისა) და ისიც, რომ ამ დღეებში 100 წელიწადი შეუსრულდა გამოჩენილ რუს საბჭოთა მეცნიერს, ჩემს მეგობარს აკად. ნ. მ. ღრუჟინინს, რომელთანაც, როგორც ბიბლიოფილს, დიდი ხნის წიგნთვაცლა მაკავშირებს.

როგორც ცნობილია, არ ყოფილა შემთხვევა, რომ უქნარა ადამიანს, მუქთახორას, მცონარესა და უსაქმურს დიდხანს ეცოცხლოს... ფაქტია, რომ საზოგადოებრივად სასარგებლობა და ლირსეული საქმეებისათვის მშრომელ და დაუმცხრალ ადამიანებს, გარკვეული ზომით ეტყობა, თვით მათი შრომის ნაყოფიერებით გამოწვეული საზოგადოებრივი და პირადი ინტერესი და მისწრაფებანი ასულდგმულებს და უხანგრძლი-

¹ Б. Урланиц, История одного поколения, 1968, М.; В. Шапиро, Социальная активность пожилых людей..., 1983, М., стр. 16—24.

² Д. Чеботарев, Здоровья в любом возрасте. (Сб. ст. Научно-техническая революция и человек, 1977, М., стр. 123—127).

* * *

1981 წლის ივლის-აგვისტოში ვენაში ჩატარდა მოსახლე-
ობის დაბერების პრობლემათა შესახებ გეო-ს მსოფლიო ასამ-
ბლეა და 1982 წლის აპრილი გამოცხადდა, როგორც „ჯანმრ-
თელობის საერთაშორისო დღე“; ამასთან დაკავშირებით ჯან-
დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი
ჰალფადან მალერი აღნიშნავდა: „...მხეცოვანნი წარმოადგენე-
ჭგუფს, რომელსაც ესაჭიროება განსაკუთრებული მზრუნვე-
ლობა, მაგრამ რომელსაც ამავე დროს უნარი აქვს დადებითი
წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუ იგი
იზოლირებული არაა ამ საზოგადოებისაგან“².

ხანდაზმულთა ხვედრიწილი მოსახლეობის საერთო რაო-
დენობაში ახლა ბევრად მეტია, ვიდრე ოდესმე წინათ, კაცობ-
რიობის მთელ ისტორიაში, და ეს შედეგია, ერთი მხრით, სი-
ცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდისა და, მეორე
მხრით, შობადობის შემცირებისა. ასე რომ, საპენსიო ასაკის
ადამიანთა რიცხოვნობა სულ იზრდება³...

უქანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე ჯანმრთელო-
ბის დაცვის ხარჯები მთელ მსოფლიოში საშუალოდ 10-ჯერ
გაიზარდა, სიცოცხლის ხანგრძლივობამ კი მხოლოდ უმნიშვ-
ნელოდ იმატა. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ჯეროვანი ყურად-
ღება არ ექცევა ფიზიულტურას, რასაც უწინარეს ყოვლისა,
უყურებენ, როგორც გადატანილი ავადმყოფობის შემდეგ
ორგანიზმის რეაბილიტაციის საშუალებას, და არსებითად ივ-
იწყებენ მის, როგორც შრომაუნარიანობის გახანგრძლივები-
სა და ინვალიდობის აცილების საშუალების, მნიშვნელობას.

¹ თბილისს, საქართველოსა და კავკასიაში მცხოვრებ ხანდაზმულთა
შესახებ, იხ. ი. შაფირო, გ. ფიცხელაური, ო. გაგუა, თბილი-
სის ღრმად მოხუცებული ადამიანები, 1956, თბ.

² «К. Юнеско», 1982, III, стр. 34.

³ Т. Карсаевская, А. Шаталов, Философские аспекты
геронтологии, 1978, М.

ეს კი მით უფრო შეუწყნარებელია, რომ ხანდაზმულთა დაკვადების შემთხვევათა დიდი ნაწილი გამოწვეულია მცირე (ნაკლები) მოძრაობისა და ,საერთოდ, ქრისტიანი ცხოვრების შენელების (აღინამიის) შედეგად; და ეს მაშინ, როდესაც უპრიანია ხანდაზმული, 80 და მეტი წლის ადამიანები ხელს არ იღებდნენ ასაკის შესაფერისი ფიზიკური და გონებრივი ინტერესებით საესე, საერთოდ, ხალისიანი და სრულფასოვანი ცხოვრებისაგან¹.

ჩვენ თავის ადგილას გავეცნობით, თუ რაოდენ დიდ მზრუნველობას იჩენენ ჩვენი პარტია და მთავრობა ხანდაზმულთა, მხურვანთა, დღეგრძელთა და პენსიონერთა ყოფა-ცხოვრების კეთილმოწყობისათვის².

სოციალისტურ საზოგადოებაში უფროსი თაობის ადამიანებისადმი დიდი ყურადღება და მზრუნველობა ესოდენ ნათლად აისახა პარტიის XXVII ყრილობის მიერ მოსმენილ ცტ-ის პოლიტიკურ მოხსენებაში.

* * *

სიცოცხლის ხანგრძლივობის საკითხი უძველესი ადამიანური პრობლემაა. მწერების სიცოცხლე — საათობითი იზომება, ძუძუმწოვრებისა — ათეული წლობით. როგორც ჩანს, ამა თუ იმ სახეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა გენერიკურად პროგრამირებულია და თაობებს მემკვიდრეობით გადაეცემა.

რაც უფრო დიდია ძუძუმწოვარია არსების მასა (ტანი) და

¹ Р. Гиббс, Если вам за 50, 1985, М.

² ცხადია, ასე არ იყო ცველგან და ყოველთვის. მაგალითად, უძველეს დროში გარამანტების სამეფოს ზოგიერთ ნეგრიოლულ ტომებში, რომლებიც მღვიმებებში ცხოვრობდნენ, მოხუცებს (დაბერებულებს) უფლება ჰქონდათ ეცოცხლათ მხოლოდ 60 წლამდე. როდესაც ეს ვადა დაუდგებოდა, ადამიანს თავი უნდა მოეშთო ხარის კუდით... ძევლ სარდებშიც იყო ჩვეულება, რომ მოხუცები, რომელთაც 70 წლს მიაღწიეს, ჩაეყარათ ღრმა ორმოებში... ეუთანაზიის ანალოგიური ჩვეულება უძველეს დროში იყო სხვა ქვეყნებშიც (А. Гаудио, Цивилизацији Сахари..., пер. с франц., 1985, М., стр. 20—27).



მაღალია მისი განვითარების დონე (ე. ი. მთელ მის სხეულია თან შედარებით რაც უფრო მეტს იწონის მისი ტეინი), მით უფრო დიდია მისი სიცოცხლის ხანგრძლივობაც. რაც უფრო რთულია ცოცხალი ორგანიზმი, მით უფრო მეტი მოცულობის გენეტიკური ინფორმაცია უნდა გადაეცეს მის შთამომავლობას, ხოლო ამ ინფორმაციის მიღებას, ათვისებას, გადამუშავებას, რეალიზაციას ასევე უფრო მეტი დრო სჭირდება. მაგალითად, განაყოფიერების მომენტიდან თაგუნია იბადება 20 დღეში. ხოლო სპილოს — 660 დღე სჭირდება.

საკითხავია, როგორ და საიტან იწყება სქესობრივი ქვესისტემების დაყოფა? რა ფაქტორები განსაზღვრავს მათს განვითარებას?.. ფიქრობენ და ვარაუდობენ, ჰერნიათ, რომ... კონსერვატიული ქვესისტემაა ქალი, ხოლო ოპერატიული, „ავანგარდული“ — ვაუი.

ორივეს სავსებით იდენტური ბიოლოგიური ნიშნები აქვს. მაგალითად, თანაბარი რაოდენობის ხელები, ფეხები, თითები,... თვალები, ყურები... ამასთანავე ყველა სქესს აქვს მხოლოდ მისი დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები... საერთოდ, ამ თვალსაზრისით, ადამიანის სიცოცხლის დრო ოთხ პერიოდად იყოფა: 1. პრენატალური პერიოდი (სანამ ბავშვი დედის საშოშია, სანამ დაიბადება); 2. დაბადებიდან სქესობრივ მომწიფებამდე ზრდის პერიოდი; 3. რეპროდუქციული ანუ მოდგმის გაგრძელების პერიოდი¹; და 4. პოსტრეპროდუქციული პერიოდი, როდესაც დაბერებულ ორგანიზმს უკვე აღარ შეუძლია შთამომავლობის მოცემა...

ჩასახვის დროიდან ვაჟები მეტ ხანს რჩებიან დედის საშოში, ვიდრე გოგონები (ზოგჯერ ეს ნაჭარბი დრო 3-4 კვი-

¹ „უნგრელი სოციოლოგების დაკვირვებით სიცოცხლის ხანგრძლივობის მთავარი პირობა თანამედროვე ვითარებაში, ესაა განსაღი იქანოვრება; მათი გამოკვლეულების თანახმად 30-დან 50 წლამდე ასაქში სიკვდილიანობის ყველაზე მეტი პროცენტი მოდის უცოლო ვაჟებზე. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა უკანასკნელ 10-15 წელიწადში.

ამავე დროს, იმავე ასაკის „ოჯახიან ადამიანთა შორის ბუნებრივი სიკვდილის შემთხვევების რაოდენობა იმავე პერიოდში შესამჩნევად შემცირდა“ («Журналист», 1986, № 3, с. 31).

რასაც შეადგენს). ამის მიუხედავად გოგონები უფრო მომწინებულები იბადებიან, ვინემ ვაჟები, — როგორც ამას ამტკიცებს ჩივილ-ყრმათა ძვლების ქსოვილების რენტგენოლოგიური შესწავლა. ე. ი. ქალისა და ვაჟის „სქესობრივი უთანასწორობა“ სიცოცხლის პირველსავე სტადიაზე თითქმის ერთ თვეს უდრის.

დაბადების შემდეგაც გოგონები უფრო ადრე იწყებენ სიარულს და ლაპარაქს, ვიდრე ბიჭუნები, ხოლო სქესობრივი მომწიფების თვალსაზრისითაც გოგონები ორიოდე წლით უსწრებენ მათ, რომელთაც არსებითად მხოლოდ ორიოდე წლით უფროსებს შეუძლიათ, მოევლინონ მათ ვაჟებად... გაიტანონ თავისი...

რეპროდუქციული პერიოდი ქალისა გრძელდება 30-40 წელიწადს და მთავრდება 45-55 წლის ასაკში. ხოლო ვაჟისა 10-15 წლით უფრო დიდხანს გრძელდება და მთავრდება 60-70 წლის ასაკში...

საერთოდ, ქალის სიცოცხლის ხანგრძლივობა 3-4 წლით მაინც აღემატება ვაჟისას. საბჭოთა კავშირში ქალები საშუალოდ მეტს ცხოვრობენ ათიოდე წლით, ვიდრე ვაჟები, ფინეთში ეს სხვაობა შეადგენს 9 წელიწადს, საფრანგეთში — 8-ს, აშშ კი 7 წელიწადს.

აუხსნელი რჩება საკითხი: როგორ ხდება, რომ ქალები უფრო ადრე ბერდებიან (ხუცდებიან), მაგრამ უფრო მეტხანს ცოცხლობენ, ვინემ ვაჟები...ფიქრობენ, რომ ყოველმხრივ იდეალურ გარემოში ვაჟები მეტს იცოცხლებდნენ, მაგრამ... რმები ვითარებანი, სითიცხე. „კვერცხება!“. იწვევენ მათი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შემცირებას.

სხვადასხვა ქვეყანაში ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაში შესამჩნევი განსხვავებაა. საერთოდ კი სიცოცხლის ხანგრძლივობა ნელნელა მატულობს... ამიერკავკასიაში 1982 წელს 14 კაცი იყო 110 წლის ასაკს გადაცილებული.

¹ Н и Ж., 1982, № 11, стр. 127—129.

წლები	მოსახლეობის საერთო რიცხვი (ათასობით)	ვაჟი	ქალი	ორევე სქესისა
1959	4 044,0	790	1 290	2 080
1970	4 686,4	607	1 242	1 849
1979	5 014,8	259	648	907

წარმოდგენილი ცხრილი თვალის ერთი გადავლებითაც უჩვენებს, თუ როგორი ტემპით კლებულობს 100 წლისა და მეტი ასაკის მხცოვანთა ხვედრითი წონა საქართველოს მოსახლეობის საერთო რიცხვში, ე. ი. რამდენად იმატა მოსახლეობის დაბერებული ნაწილის მოკვდაობამ აღებულ წლებში.

ე. როსესეტის (E. Rosset, 1979) ვარაუდით ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა რკინისა და ბრინჯაოს ეპოქაში უდრიდა 20 წელიწადს, ანტიკურ ეპოქაში — 20-30 წელიწადს, შუა საუკუნეებში, — 20-30 წელიწადს, XVI—XVIII საუკუნეებში — 25-35 წელიწადს, XIX საუკუნეში — 30-35 წელიწადს, ხოლო XX საუკუნეში — 40-75 წელიწადს¹.

კვეთოვერები

მცვლელთა და ხანდაზმულთა ყოფა-ცხოვრების კეთილმოწყობა, მათი ამაგის დაფასება, საერთოდ, მათზე ზრუნვა, სოციალისტური საზოგადოების საპატიო ამოცანაა და განმტკიცებულია საბჭოთა კონსტიტუციით, რის შესაბამისადაც სათანადო პენსიისა და სოციალური უზრუნველყოფის სხვადასხვა სახით გარანტირებულია მათი მატერიალური კეთილდღეობა.

სსრ კავშირის კონსტიტუცია ამასთანავე ითვალისწინებს სპეციალური კვლევა-ძიების აუცილებლობას მოქალაქეთა

¹ РЖ, 1980, 6, сеп. 2, стр. 122—125.

მრავალწლოვანი აქტიური ცხოვრების უზრუნველყოფისათვის. სკპ ცკ-ის 1983 წლის აგვისტოში პარტიის ვეტერანებთან შეხვედრაშე აღინიშნა იმისი აუცილებლობა, რომ ისინი უფრო აქტიურად უნდა ჩაებან საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. სკპ ცკ-ის პოლიტიკურობის პარტიულ, საბჭოთა პროფესიულულ, კომკავშირულ და მეურნეობრივ ორგანოებს დაავალა, მუდამ ზრუნავდნენ მათზე და ასევე ფართოდ ჩააბან ისინი პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმიანობაში, რათა პენსიონერებმა მოსახლეობას გაუზიარონ თავიანთი დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება და ერთგულება ლენინური იდეებისადმი — სოციალისტური სამშობლოს სამსახურისადმი.


ამავე ასპექტში შეისწავლება ინდივიდის ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური დაბერების სოციალური დეტერმინანტები; აგრეთვე მათვის ახალი ცხოვრების პირობებისადმი, ახალი სოციალური სიტუაციისადმი ხანდაზმულთა და დაბერებულთა შეგუების უნარიანობა და სხვ.¹.

სისტემატური შესწავლის საგანია საზოგადოებრივ წარმოებაში პენსიონერთა აქტიური მონაწილეობის საკითხი, მათი შრომის გონივრული და მაქსიმალური ეფექტიანი გამოყენება; მათვის — ცოდნის, გამოცდილების, ენერგიისა და შრომისუნარიანობის შესაბამისი სამუშაო აღვილების გამნახვა. ასევე შეისწავლება სიბერისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ფილოსოფიური საკითხებიც².

პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის მიღებული დადგენილებით (1981) განხორციელდა მუშა-მოსამსახურებისა და კოლმეურნეობის წევრთათვის

¹ «Правда», 1983, VIII, 16, 2; В. Шапиро, Социальная активность пожилых людей в СССР, 1983, М.; А. Новицкий..., Занятость пенсионеров (социально-демографический аспект, 1981, М.; Здоровье пожилых людей, 1978, М.).

² Д. Чеботарев, Соц.-экон. и гигиенические проблемы геронтологии. (См. Здоровье пожилых людей, 1978, М.); Т. Карсавская..., Философские аспекты геронтологии, 1978, М.; З. Френкель, Удлинение жизни и активная старость, 1985, М.



ასაკის მიხედვით მინიმალური პენსიების გადიდება, სამეცნიერო ცინო დახმარებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესება. აგრეთვე დიდი სამამულო ომის მონაწილეთა ცხოვრების პირობების შემდგომი ამაღლება!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 30 ივნისის ბრძანებულება ერთ ადგილზე მუშაობის უწყვეტი სტაჟისათვის მოხუცებულობის პენსიებზე 20%-ის დანამატის გაცემის შესახებ ძალაში შევიდა 1983 წლის 1 აგვისტოდან. აქვეა განმარტებული, რომ საპატიო მიზეზით სამსახურის ადგილის შეცვლა (მაგალითად, ორსული ქალის მიერ, რომელსაც 8 წელზე ნაკლები ასაკის შეილები ჰყავს. ანდა მეუღლის — ქმრის ან ცოლის — სამუშაოზე სხვაგან გადაყვანის გამო) არ ითვლება სტაჟის გაწყვეტად.

ხანდაზმული პენსიონერების გამოკითხვამ დაადასტურა, რომ მათ ახლა მეტი დრო რჩებათ დასვენებისა და ოჯახური საქმიანობისათვის, შვილიშვილებზე ზრუნვისათვის, ჯანმრთელობის დაცვისათვის, მეგობარ-ნათესავებთან ურთიერთობისა და საზოგადოებრივი მუშაობისათვის. ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, ზოგიერთს აწუხებს განმარტოებულობა და იმ აზრთან შეგუება, რომ აღარ შეუძლიათ ქვეყნის სასარგებლო საქმის კეთება, აწუხებს მატერიალური ხელმოკლეობა, ავტორიტეტის შემცირება საზოგადოების თვალში და ა. შ. ხოლო ეს ბევრ მათგანს უბიძგებს ისევ მოეწყოს წარმოებაში, თუნდაც არასრული სამუშაო დღის (თუ კვირის) პირობებში.

სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდისა და სხვა მიზეზების შედეგად იზრდება რიცხვი ისეთი პენსიონერებისა, რომელთაც სურთ, კვლავაც გააგრძელონ შრომითი მოღვაწეობა. ეს კი ხელს უწყობს საზოგადოების შრომითი რესურსების გადიდებას, მაშასადამე, ხანდაზმულთა შრომისუნარიანობისა და აგრეთვე მათი სიცოცხლის გახანგრძლივება აღვივებს მათში რწმენას, რომ ისინი კვლავაც საჭირონი და სასარგებლონი არიან საზოგადოებისათვის.

ამჟამად სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში ცხრა მი-

¹ Б. Аникеев, О проблемах современного человекосознания, 1977, М.

ლიონზე მეტი პენსიონერი, ანუ პენსიონერთა საერთო რაოდენობის 34% მუშაობს. საერთოდ კი პენსიონერებზე (მუშაობენ ისინი თუ არა) საშუალო სულობრივი შემოსავალი შეადგენს 90 მანეთს.

საქმე ისაა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულმა სოციალურ-ჰიგიენურმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ შრომა ხელს უწყობს და აძლიერებს ადამიანის აქტიურ მრავალუამიერობას. პენსიონერები, რომლებიც საესებით მოსწყდნენ შრომითი კოლექტივებს, უფრო ხშირად ავადდებიან; ცუდად და უკმაყოფილოდ გრძნობენ თავს...

მაგრამ ისიც გასაგებია, რომ ფიზიკური შრომით აღრინდელი ზომით და ინტენსივობით დატვირთვა პენსიონერებს ნაკლებად შეუძლიათ. მათთვის, შესაბამისად, უნდა შეირჩეს უფრო მსუბუქი და ფსიქიკურად ნაკლებ დაძაბული სამუშაო ადგილები. მაგალითად, მომსახურების, საბინაო-კომუნალური სამსახურის, ვაჭრობის, საზენაცხადისა და სხვა სფეროებში.

ბურუუაზიულ სახელმწიფო ორგანიზაციებში ხანდაზმული და დაბრუებული ადამიანები ძალიან ხშირად ზედმეტ ბარგად მიაჩნიათ და ეს მით უფრო, რაც უფრო იზრდება მათი. რაოდენობა და მწვავე ხასიათს იღებს უმუშევრობა¹...

საბჭოთა ქვეყანაში პენსიონერები აქტიურად და ნაყოფიერად მონაწილეობენ სხვადასხვა ორგანიზაციების პრაქტიკულ-საზოგადოებრივ საქმიანობაში. ისინი ფაბრიკებში, ქარხნებში ხშირად გამოდიან როგორც ახალგაზრდობის დამხმარენი და მასწავლებლები წარმოების მაღალი კულტურის დანერგვის საქმეში².

¹ Л. Рыбаковский. Динамика и факторы демографического развития СССР... (См. сб. Демограф. разв. СССР (—ДРС), 1984, М., стр. 20).

² Международный конгресс геронтологов, т. 3.

დამატება

რაღიოგადაცხათა ციკლიდან: „ჩვენი იმპი და
მომავალი“ (13.IX.84)¹

მრავალი ჟვილი ერის ძლიერებაა

ოჯახი — არის ძირითადი დემოგრაფიული უქრედი და ამავე დროს — ნაციის უმცირესი სოციალური ერთეული, რომელთანაც დაკავშირებულია თითქმის ყველა დემოგრაფიული მოვლენა და რომელიც განსაზღვრავს საერთოდ საზოგადოებრივი ყოფიერებისა და ცხოვრების წესის (ნირის) თითქმის ყველა საწყისს.

ოჯახი იწყება ერთმანეთთან სქესობრივად შეთანაწყობილი, შეხმატებილებული, შეყვარებული ქალ-ვაჟის მეულლებრივი კავშირით, რაც გაადგილებულია და ვითარდება ერთ ბინაში, ერთ ჰერქვეშ.

ოჯახი იქმნება მეულლეთა წყვილის (ცოლ-ქმრის) მიერ შვილისა (და შვილების) გაჩენით. ასე რომ, ერთი შვილი თუ მაინც არა ჰყავთ, ცოლ-ქმარი, მიუხედავად იმისა, რომ მათთან ერთად ბინაში შეიძლება ცხოვრობდნენ მათი მშობლები და სხვა ნათესავები (და, ძმა...), — არ შეადგენს სრულფასოვან ოჯახს.

¹ დიართონი: მეგობრებო, განვაგრძობთ საუბარს მოსახლეობის გამრავლების დიდმნიშვნელოვან საქითხზე, რაც 1980 წ. მაისს აყადემიკოს პაარტა გუგუშვილის გამოსკვლით დავიწყეთ და რამაც რაღიომსმენელთა დიდი ინტერესი და ფართო გამოხმაურება გამოიწვია.

იხ. პ. გუგუშვილი, მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა, 1985, თბ., გვ. 139-158.

სქესის, ასაკისა და შრომაუნარიანობის (პროფესიული ცოდნის) მიხედვით ოჯახის შედგენილობა, ე. ი. ოჯახის სო-
ციალური სტრუქტურა, განსაზღვრავს საზოგადოების ძირი-
თად მწარმოებლური ძალების და წარმოებრივ ურთიერთო-
ბათა და, მაშასადამე, მთლიანად ერის ცხოველმყოფელობის
უნარისა და ენერგიის ამოსავალ საწყისებს.

თანამედროვე საზოგადოების ადამიანთა ცხოვრება, უწი-
ნარეს ყოვლისა, ოჯახის ფორმით ყალიბდება. ისეთი სა-
ხელმწიფოებრივი ღონისძიების გატარებისას, როგორიცაა,
მაგალითად, მოსახლეობის აღწერა, აუცილებელია ცნობები
ყოველი ადამიანის შესახებ, მაგრამ აღმწერს პრაქტიკულად
არ შეუძლია (ძნელია) ცალ-ცალკე (ქუჩაში, ბაზარში, სამსა-
ხურის ან მუშაობის ადგილას შეხვდეს თითოეულ ადამიანს...
და რაკი ისინი ოჯახურად მაშასადამე, თავთავის ბინებში
(სახლებში) ცხოვრობენ, ისიც ბინაში უნდა შევიდეს მათ-
თან.

ამგვარად, მოსახლეობის აღწერისას დაკირვების ერთე-
ულს და, მაშასადამე, ცნობათა წყაროს, ჩემულებრივ წარმო-
ადგენს ოჯახი, სადაც ერთად (ერთ ბინაში, სახლში) ცხოვ-
რობს ოჯახი, — მოყვრული, ნათესაური კავშირის საფუძველ-
ზე გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფი.

ოჯახი, როგორც ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების
გარევეული ფენომენი, კაცობრიობის განვითარების სხვა-
დასხვა საფეხურზე ყალიბდება ამა თუ იმ სოციალურ-ეკო-
ნომიკური წყობილების შესაბამისად და მიუხედავად ამისა
ოჯახის ევოლუციის გზები სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა
გეოგრაფიულ, ბუნებრივ-ისტორიულ გარემოში ფრიად გან-
სხვავებულია, მრავალნაირია.

მეუღლეობრივი ოჯახი, საერთოდ ეს არის ცოლისა და
ქმრის, როგორც ინდივიდთა ერთადერთი და განუმეორებელი
წყვილის უაღრესი და უსასრულო ხორციელი და სულიე-
რი ინტიმური ურთიერთგაგებისა და სიყვარულის უზადო
და უმწიფვლო ერთიანობა.

მეუღლეობა ყველაზე უზენაესი და უწმინდესი ვალია არა
მხოლოდ შესაძლებელი თანაბრობით გაინაწილონ ოჯახის

ბურჯთა წილხვედრი ყველა სიამე და სიმძიმილი, არამედ ამა-
ვე დროს მათი ვალია, იყვნენ ერთმანეთის ყოველგვარ კე-
თილშობილურ მისწრაფებათა და საქმეთა უთუო და უღალა-
ტო თანამზრახველნი, უპირველესი თანამდგომნი და თანა-
შემწენი.

საქმე ისაა, რომ კაცობრიობის ცივილიზაციის მთელი
ისტორიის მანძილზე ოჯახის სოციალური და ბიოლოგიური
ფუნქციის უპირველესი და კატეგორიული პრინციპია მოსახ-
ლეობის აღწარმოება და, მაშასადამე, ოჯახის ცხოველმყო-
ფელობის გამოვლინებაა შვილიანობა და შვილთა აღზრდა.

შვილთა შობის (გაჩენის) ერთადერთი და მონოპოლიუ-
რი საწყისია ოჯახი. მოსახლეობის აღწარმოების (გამრავ-
ლების) სხვა ფორმა თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადო-
ებას მისი მორალური და ეთიკური ცხოვრების კოდექსში არ
გააჩნია.

დამოუკიდებლად იმისა, თუ ვინაა ოჯახის მეთაური — მა-
მა თუ დედა — ქალი ყოველთვის დარჩება არა მხოლოდ რო-
გორც მეუღლე და დედა, არამედ როგორც დისახლისი, და
არა მხოლოდ შვილების, არამედ საერთოდ სახლის დედა,
როგორც ოჯახის სითბოს, სიტკბოების, მშენიერების, მყუდ-
როების, მეუღლის (ქმრის) ყოველდღიური სიმშეიდის, ქაყა-
ფილების, იმედის, პუმანურობის და დავანების დღენიადაგ გა-
ნახლებადი წყარო.

ამ უაღრესად აუცილებელი, უმაღლესი, უდიდესი და მა-
რად ნათელი მოვალეობის, რაც ქალს შრომის სქესობრივი
დანაწილების ძალით თვით ბუნებამ და საზოგადოებამ და-
კისრა, შელახვა იმავდროულად აღამიანთა სულით და ხორ-
ცით ჯანსატი მოდგმის აღწარმოების დეგრადაციის მომასწა-
ვებელი იქნებოდა.

მრავალშვილიანი დედის პრობლემა დღეს ინდუსტრიულ
ქვეყნებში მოსახლეობის აღწარმოების ტემპების ესოდენი
შენელების საშიშროების წინაშე მდგარი. კერძოდ მცირერიც-
ხოვანი ერებისათვის, მაგალითად, ქართველებისათვის უაღ-
რესად საყურადღებოა.

ცნობილია ის დიდი მზრუნველობა, რასაც ჩვენი პარტია

და ხელისუფლება იჩენს, საერთოდ, ოჯახის, დედისა და, კერძოდ, მრავალშვილიანი დედის მიმართ.

მაინც როგორც ჩანს, დღევანდელი დემოგრაფიული სიტუაციის ვითარებაში „მრავალშვილიანი დედის“ ცნებაში აუცილებელია კორექტივის შეტანა: თუ ოთხიოდე ათეული წლის წინათ 4-5-შვილიანი დედა ჩვეულებრივი და თითქმის მასობრივი მოვლენა იყო, დღეს მის ადგილს თანდათანობით იჭერს 1-2 შვილიანი დედა.

ამიტომ კანონზომიერი ხდება, რომ ორზე მეტი შვილის აღმზრდელს ვუწოდოთ მრავალშვილიანი დედა და, მაშასადამე, მათზე გავრცელდეს (და უკვე ვრცელდება კიდეც) ცველა ის დახმარება და შელავათები, რაც მრავალშვილიანებს ეძლევათ.

უნდა გვახსოვდეს, რომ საქმე ეხება არა უბრალოდ ერთს გამრავლებას, არამედ, მუშა-ძალის, ძირითადი მწარმოებლური ძალების აღწარმოებას და, ამასთანავე, თავდაცვაუნარიონობის განმტკიცებას.

ქალის შრომა ფრიად მძიმე და ფაქტიზია... დედობის ღვაწლის თუნდაც ნაწილის ღირებულებრივ ფორმაში გადაყვანა არ ხერხდება. და მაინც, როგორც იტყვიან ღმერთმა ნუ ქნას, რომ ქალებმა... „დედობის ხელფასი“... მოითხოვონ...

ყველა საფუძველი არსებობს, რომ მესამე და მეტი შვილების მშობლებს მიეცეთ სრული ალიმენტაცია.

ეს იმას ნიშნავს, რომ, როგორც საბჭოთა დემოგრაფი, პროფ. ს. ტომილინი, აცხადებს, „ბავშვების (შვილების) წარმოება ოჯახისათვის არ უნდა იყოს წამგებიანი (დეფიციტური) საწარმო“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ოჯახში მესამე (და მეტი) შვილის გაჩენამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს ოჯახის წევრებზე ნორმალური (ტრადიციული) ხარჯების შემცირების აუცილებლობა... ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ მათ დროულად უნდა მიეცეს კანონით გათვალისწინებული საბინაო ფართობი.

თუ რამდენი შვილია აუცილებელი მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვის, ეს დამოკიდებულია ბავშვთა სიკვდილიანობის დონეზე. მაგალითად, 1900-იან წლებამდე, ე. ი.

80-ოდე წლის წინათ, საფრანგეთში ბავშვთა სიკვდილიანებული ბის დონე იმდენად მაღალი იყო, რომ მხოლოდ მეოთხე ბავშვიდან იშევბოდა მოსახლეობის რამდენადმე გაფართოებული აღწარმოება. ამიტომაც აქ 1912 წლის 14 ივნისის კანონით ოჯახს დახმარება ეძლეოდა მეოთხე შეილის გაჩენის შემდეგ.

ამჟამად, საერთოდ, ბავშვთა მოკვდაობის მნიშვნელოვანი ზომით შემცირების შემდეგ, ინდუსტრიულ ქვეყნებში ოჯახის საბრძოლო ამოცანად ისახება მესამე შეილის გაჩენა. საბჭოთა კავშირის ხალხები ეთნიკური, რელიგიური და ისტორიულად განვლილი ტრადიციების შესაბამისად, ხასიათდებიან მოსახლეობის აღწარმოების (ე. ი. ოჯახში ბავშვთა სიმრავლის) სხვადასხვა მაჩვენებლით.

შობადობის მაღალი დონით ე. ი. 15 წლისა და უფროსი ასაკის ყოველ 1 000 ქალზე საშუალოდ 3 000 მეტი ბავშვის გაჩენით განირჩევიან თურქმენები, ტაჯიკები, ყირგიზები და უზბეკები, ხოლო დაბალი დონით, ე. ი. 1000 ქალზე საშუალოდ 2 000-ზე ნაკლები ბავშვის შობადობით ხასიათდებიან ამჟამად რუსები, უკრაინელები, ლიტველები, ქართველები...

საერთოდ, შობადობას განსაზღვრავს მოსახლეობის აღწარმოების ბრტყო-კოეფიციენტი, ე. ი. რიცხვი გოგონებისა, რამდენსაც საშუალოდ შობს ერთი ქალი ფერტილური ასაკის განმავლობაში.

კერძოდ, ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შესახებ უნდა ითქვას რომ: მოსახლეობის აღწარმოების ტემპის მიხედვით აზერბაიჯანი და სომხეთი 2,0—2,5-ჯერ უსწრებენ საქართველოს, ხოლო ოჯახის საშუალო ზომა უდრის აზერბაიჯანში — 5,8-ს, სომხეთში — 5,2-ს, საქართველოში — 4,2 სულს.

მოსახლეობის 1979 წლის აღწერის მონაცემებით 15 წლისა და უფროსი ასაკის 1000 ქალმა საშუალოდ დაბადა:

აზერბაიჯანელმა — 2 784 ბავშვი, სომებმა — 2 277 ბავშვი, ქართველმა — 1 928 ბავშვი. ხოლო ერთი ათასი ქალიდან 7 და მეტი შეილი ჰყავდა: 143 აზერბაიჯანელს, 55 — სომებს და 21 ქართველს. ასეთი ვითარების შედევი ისაა, რომ:

თუ, სსრ კავშირში 1926 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით ქართველები სომხებზე მეტნი იყვნენ — 253 ათასი კაცით, ხოლო აზერბაიჯანელებზე — 108 ათასი კაცით... ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1979 წელს, უკვე ქართველებს აღემატებოდნენ: სომხები — 621 ათასით, ხოლო აზერბაიჯანელები 1 946 ათასი კაცით.

ცხადია, დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს დაფიქრება და გააზრება ამ ვითარების პერსპექტიული შეფასებისათვის!

— ყოველ შემთხვევაში ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში ქართველები ამ სამი ნაციის საერთო რაოდენობის შ5,7 პროცენტს შეადგენდნენ 1926 წელს, ხოლო 1979 წელს კი — 27 პროცენტს...

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სსრკ მოსახლეობის გამრავლების უახლესი მონაცემების მიხედვით გაკეთებული ზოგიერთი პროგნოზი საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ ისახება ცვლილებები, რაც არაა გამორიცხული უკვე მოასწავებდეს სხვადასხვა ნაციის მოსახლეობის აღწარმოებაში განსხვავებულ ტენდენციაზე გადასვლას...

შობადობისა და მოკვდაობის მარადიული ურთიერთზე-მოქმედების ვითარებაში მიმდინარეობს მოსახლეობის თაობათა თანმიმდევრული აღწარმოების პროცესი, რასაც საბოლოოოდ, ვითარცა სოციალური თვალსაზრისით რეგულირებად ფენომენს, როგორც გამრავლების, ისე თაობათა ცვლის ტემპების ასპექტში, განსაზღვრავს საზოგადოების ბუნებრივისტორიული, ეკონომიკური, კულტურული და მეცნიერული განვითარების პირობები¹. საზოგადოებრივი ცხოვრების თანმიმდევრული ევოლუციის საფეხურებზე ყალიბდება მოსახლეობის აღწარმოების სხვადასხვა ტიპი და, ამ მხრივ, ერთიან მეორე ტიპზე გადასვლა, მოასწავებს მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვან „დემოგრაფიულ რევოლუციას“.

¹ А. Вишневский, Воспроизводство населения и общество, 1982, М.; Детерминанты и последствия демографических тенденций, 1983; Р. Салас, Демографический взрыв (КИО, 1982, VII); Р. Бахметов, Методы демографического прогнозирования, 1984, М.; Die Weltbevölkerung in Zahlen, 1985, L.; R. Saias, Reflections on population, 1985, N 4.

ავტორისაგან	3
შესავალი	11
ლემონგრაფია	14
მოსახლეობის აღწარმოების ტენდენციისათვის	20
დედა და შვილი	26
მოსახლეობის მიგრაცია	45
ხანდაზმულობა, დემოგრაფიული დაბერებულობა	54
პენსიონერები	58
დამატება: მრავალი შვილი ერთს ძლიერებაა	63
შინაარსი	

Гугушвили Паата Виссарионович

ДЕМОГРАФИЧЕСКИЕ ОЧЕРКИ

В помощь лектору

(На грузинском языке)



Общество «Знание» Грузинской ССР

Тбилиси, Ленина, 47

1986

რედაქტორი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 წევრ-კორესპონდენტი, პროფ. ირაკლი ფალავა.

გარეკანი მხატვარ გ. ავსაჭანიშვილისა

გადაეცა წარმოებას 11. 07. 86 ხელმოწერილია დასაბეჭდად 3. 02. 87
 ქაღალდის ზომა $84 \times 1081/32$; ნაბეჭდი თაბაზი 4,0; საალტ.-საგამომცემლო
 თაბაზი 2,8.

უ 09529

ტირაჟი 60.000

ეკვ. 1695

ფასი 20 კაპ.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“
 თბილისი, ლენინის ქ. № 47.

საქართველოს კა ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
 ორდენისანი სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства
 ЦК КП Грузии г. Тбилиси, ул. Ленина, 14.



გუგუშვილი პაატა ბესარიონის ძე — ექონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აეტორია ხუთასამდენაშრომის, მათ შორის ასამდე მონოგრაფიისა: პოლიტიკური ეკონომიის, ეკონომიკური აზრის ისტორიის, სახალხო მეურნეობის განვითარების, სტატისტიკის, ბიბლიოლოგიის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, საბჭოთა საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და სხვა პრობლემებზე, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ჩეხურ, რუმინულ, უნგრულ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და სხვა ენებზე, არის საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის წევრი.